

საჩინო გაფატი

№26 (708)
ოთხშაბათი
2 აგვისტო,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

საქართველო - ევრაზიის კარიბჭე



ევრაზიის კართული პარადიზმა

5 მილიონად
გაქვარებული და
300 მილიონად
აღიარებული ტაივანის
დამოუკიდებლობა

საუკუნეების
ბანაკობაში
ისტორიამ
საქართველო
გეოპოლიტიკურ
ჯვარს აცვა

„დაივიწყეთ უკრაინა,
ვაშინგტონელი
„ქორები“ NATO-ს
ტაივანთან ომში
ითრევენ!“

უცხო ქვეყნის ბიჭები ჩვენი ქვეყნის ისტორიას აყალბებენ

საქართველო ევრაზიის კარიბჭე

ევროკავშირის სტატუსის მოლოდინში საქართველო ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორად იქცა. ვისაც ესმის თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთის როლი და ელემენტარული წარმოდგენა მინც აქვს ჩინეთის ეკონომიკაზე, ის კი მიხვდება ამ მართლაც ისტორიული ვიზიტების არსსა და ფასს. უბრალოდ, უხერხულია მაკანთა მხრიდან ბატონი პრემიერის წარმატებების იგნორირება.

ჩინეთის არსებობის შესახებ სრულიად პატარამ გაიგე აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით. როგორც მაშინ მითხრეს, აბრეშუმს მხოლოდ ჩინეთში ამზადებდნენ და ვინც მისი დამზადების საიდუმლოს გასცემდა, სიკვდილით სჯიდნენ. თურმე, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ განსაკუთრებული ფარული მისიით ორი ბერი გააგზავნა ჩინეთში, რომელთაც ბამბუკის ხელჯობით აბრეშუმის ჭიის კვერცხები გამოაპარეს.

ახლა, სი ძინანთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობის სტრატეგიულ პარტნიორობამდე ამალღების შესახებ გადაწყვეტილება გამოვაცხადეთ. ჩინეთი ის ძალაა, რომლის ეკონომიკაზე აშშ დგას და ვინც ამდენი არ იცის, მათ რად უუსმენთ? ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს გახლდით ბატონ დავით იაკობიშვილთან მე და თამარ ბერძენიშვილი. ბატონი დავითის სიტყვებია: „ერთ დღეს ჩინეთი რომ გაგიდგეს და თავისი აქტივები გაითხოვოს, აშშ-ის ეკონომიკა ნულს ქვემოთ დაეცემა“.

განგებამ საქართველოს ევრაზიის კარიბჭის ადგილი მიუჩინა, იმ ევრაზიისა, რომელიც მსოფლიოს გეოპოლიტიკური ღერძია. ის, ვინც ფლობს ევრაზიას, ფლობს მსოფლიოს — ეს ჩემი სიტყვები არ არის! უხსოვარი დროიდან ამ გასაღების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიმებოდნენ ოთხივე კუთხის სახელმწიფოები.

საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის მსოფლიო მიწიძველებამ განაპირობა სწორედ ის, რომ მისი სახელმწიფოებრიობის ყველა მონაკვეთში მხოლოდ იშვიათად იყო დამოუკიდებელი.

ამ ეტაპზე აშშ-ისა და რუსეთის ჭრილობა ვართ გაჩხერილი. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების მთელი სპექტრი, პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულები არიან ამ მაგნებლობაში. ვითომ ვცდილობთ, მაგრამ ვერ ჩამოვყალიბდით პატრიოტულ პოლიტიკურ ძალად, რომელიც თანაბრად კეთილგანწყობილი იქნება ამ ორი მონსტრის, აშშ-ისა და რუსეთის მიმართ, გაითვალისწინებს და დააბალანსებს ორივე აგრესიული ზესახელმწიფოს ინტერესებს საკუთარ ინტერესებთან და ეროვნულ ნიადაგზე მყარად დადგება.

ამხელა შესავალი რატომ დამჭირდა — ის, რაც ახლა წამოიწყო ბატონმა პრემიერმა (ცხადია გუნდთან შეთანხმებით), საქმეა ჩვენნიარი პატარა ქვეყნისთვის.

„საერთო ნიადაგის კონცეფ-

ცია“ ჯერ კიდევ იმ დროში, ილიამ, არჩილ ჯორჯაძემ და მათმა თანამედროვეებმა წამოიწვეს. ეს კონცეფცია კი არა, სახელმწიფოებრივი ეროვნული იდეოლოგიაა. ეს მიმართულება ამ ეტაპზე ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ორივე ზესახელმწიფოში, მრავალგვარად დამბნეულია პატარა საქართველო და დიდი ჩინეთი, მაგრამ ძალიან ძალე მიხვდებიან, რომ საქართველო გახდება ის მოთამაშე, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების საგანი აღარ იქნება, პირიქით, მათი ურთიერთანამშრომლობის პლაცდარმად გადაიქცევა. სწორედ აქედან გამომოდინარე გახდება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველი გეოპოლიტიკური პლურალიზმი. ეროვნული მიზნებისთვის საერთაშორისო კონიუქტურის შესაბამისად გამოვიყენებთ ყველა ძალასა და მოკავშირეს.



შინაურ მტრებს რა გამოლევს და სასაცილოდ განადგოს ბატონი პრემიერის ვიზიტი ჩინეთში: „მესამე სახელმწიფო, კომუნისტური, ჩამორჩენილი“ და ა.შ. ყველაფერი თქვა უძველო ენამ, მაგრამ ფაქტი ერთია: გონივრული საგარეო პოლიტიკური მიდგომებით კეთდება სახელმწიფოებრივი საქმეები. ვისაც ამის დანახვა და აღიარება არ უნდა, მათ სახელად „ქვეყნის მანებლები“ ჰქვიათ.

გადახედეთ! თანამედროვე გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, სადაც თითქოსდა უკვე ყველა ფიგურა განაწილებულია, საიდანაც ჩნდება რაღაც პატარა საქართველო და ისტორიულ ფუნქციას იძენს. ეს რა არის, „აბრეშუმის გზა“ ხომ არა? მოგეხსენებათ, ჩვენი სამშობლო იმ ადგილზე მდებარეობს, სადაც ხმელთაშუა ზღვის არეალი ყველაზე მეტად იჭრება მატერიკში. ამიტომ, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო სატრანზიტო. მხოლოდ მაშინ დაკარგა ეს ფუნქცია, როდესაც მტერმა დაიპყრო და „არტერია“ გადაუკეტა, მიითვისა....

ცუდი დრო იყო, უჭირდა საქართველოს... საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ და სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ დაწერა: „საქართველო უნდა ცდილობდეს, რომ მისი გეოგრაფიული მდებარე-

ობა გამოყენებული იქნას სავსებით. ფართო, თავისუფალი და მაქსიმალური გარანტიით უზრუნველყოფილი ტრანზიტული მიმართულებით. ეს უნდა იქნეს საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი ძარღვი“.

ერთხანს (ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას) წამოიჭრა საკითხი „აბრეშუმის გზაზე“ და მალევე მიჩუმდა, ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ვიღას ახსოვდა, ან აინტერესებდა „რაღაც გზები“. არა, ვიღაცას არ უნდოდა ეს გზა....

ახლა ბატონმა პრემიერმა (გუნდმა) მოინდომა ამ დიდი მისიის შესრულება და ისევ წინააღმდეგობა, ისევ დაცინვა, ისევ იგივე...

როდესაც ვსაუბრობთ „დიდი აბრეშუმის გზის“ შესახებ, არ შეიძლება ჩვენს ნაკლებ არ მივუთითოთ. ათასწლეულებია, ზღვისპირეთი ვართ და ზღვის გამოყენ-

ბა ვერ გვისწავლია. რაღაც წავიფაფხურეთ და მიხეილ სააკაშვილმა ადმირალებიანად აგვართვა... (ადმირალი ირემამე გამახსენდა უცბად და საქართველოს ჩამიძრული ფლოტი...)

ცოტა არ იყოს, დაუდევრებაც გჩვევია — რა გვიმლის ხელს, რომ საქართველო სახმელეთო-საზღვაო ქვეყნად ვაქციოთ?

ეს ყველაფერი ბატონი პრემიერის ჩინეთში ვიზიტმა გამახსენა — საზღვაო გადაზიდვები ხომ ბევრად იაფი ჯდება?

მე ვინ მეკითხება, მაგრამ ფიქრობ, არ იქნებოდა მართებული, თუ „დიდი აბრეშუმის გზას“ მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციად მოვიზრებთ, რადგან ეჭვი მაქვს, რომ მას სხვა, არანაკლები მნიშვნელობის დატვირთვაც აქვს. ეს ჯავშანია, რომელიც საქართველოს გარს შემოეხვევა, თან არა მხოლოდ მცირე ხნით, არამედ საუკუნეების განმავლობაში! მანამ, ვიდრე ყველა ის ქვეყანა იარსებებს, რომელთა ინტერესშიც არის ეს გზა, გნებავთ ევროპის, გნებავთ აზიის!

ის, რაც ბატონმა პრემიერმა გაკვალა და უცილობლად ჩინეთის ინტერესშიც იყო, ეს არის ის გზა, რაც საქართველოს აღორძინების დასაწყისია. ამჯერად შესაძლოა, ეს სიტყვები ზეადმტებულად ისმოდე, მაგრამ ლოგიკით — ასეა!

ელემენტარულია: დედამიწაზე არ არსებობს ერი, რომელსაც

რომ გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო ავანგარდში ვართ. ჩვენი თვითმყოფადი კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა ერთობაა, ყველა ასპექტს ითავსებს. ჩვენი კულტურა ერთია, განუმეორებელი, მაგრამ ორივე სამყაროს იტევს....

ჩვენი უწმიდესის სიტყვებია: „ჩვენი კულტურა ევროპისა და აზიის კულტურული მემკვიდრეობის ჩვენული აღქმა და არა მექანიკურად განმეორება სხვათა ნაზრევისა. ამიტომაცაა იგი ძვირფასი. ამიტომაც შევიტანეთ ჩვენი ღირსეული წვლილი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში“.

ცოტა უცნაურად მესმის ხოლმე „დასავლური ღირებულებები“ და „აზიური სისასტიკე“, მაგრამ ესეც სამყაროს ნაწილია და ქართველებიც ჩავსვდებით ვითომ?

გასაგებია, რომ ურყევად გვიკავია ორიენტაცია დასავლურ კულტურაზე, მის სოციალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე, მაგრამ აღმოსავლური ფასეულობებისაც რომ ვართ, გვრცხვენია? მე — არ მრცხვენია!

აი, ამიტომ არის საქართველო უნიკალური!

დღეისათვის, სახელმწიფოთა მდგრადობის, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება. ჩვენ რომელი გვაქვს?

საქართველოს მსგავსი საბრძოლო ისტორია ჰქონდეს — რამდენჯერაც დაეცა, იმდენჯერ გაიციხლდა...

გლობალიზაცია ობიექტური პროცესია და გულისხმობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების კონვერგენციას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდებოდა სრულიად ახალი, ე.წ. ევრაზიული კავშირი, ე.წ. ევრაზიული ცივილიზაცია. ამ დროისთვის ვინ არის ამისთვის მზად?

გადაიფლავება საქართველო და რა ქნას ამ საწყალმა საქართველომ? ჯერ ხმა არ გამოიგია „დიდი მოთამაშეებისა“ ბატონი პრემიერისადმი, გარდა იმისა, რომ პირადი სიმპათიით ვარ განწყობილი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის მიმართ, ცოტა სხვანაირი სოლიდარობა მაქვს. ეს არის ადამიანი, რომელიც გზას არ ცდებდა... ჩვენ, ქართველები უნდა გავძლიერდეთ იმით,

ბატონი პრემიერის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რაიმე ძვრას მაინც მოახდენს ამ ჩვენს ჩამოფხავებულ განათლებაში....

რატომ გვემინია ყველაფრისთვის იმ სახელის დარქმევა, რაც რეალურად ჰქვია?

როდესაც სრულიად გამიზნულად მოისპო საქართველოს განათლების სისტემა, ახლა იმ ჩინელ კონტრაქტორებს ვმად უნდა დავუყენოთ ჩვენი ოჯახის წევრები?

ბატონო პრემიერო! როგორც გაგიგე, განათლების მინისტრი ამ შემთხვევაში არ არის ფიგურა! გამოგვითმეთ „ბოლონის პროცესიდან!“ — ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ!

ბატონო პრემიერო, იმის გამოსწორებას, რაც გაფუჭდა (გამიზნულად), სულ მცირე, 30 წელი მაინც უნდა. მოისხით მადლი, ნუ დატოვებთ ასეთ წყვარაშში საქართველოს მომავალს!

საქართველოს ბედი ასეთია, კვლავ აღსდგება, მაგრამ ამასობაში დრო გადის....

ჩვენ ინტელექტუალური ძალა გვეკარგება...

კი, კარგია, ასეთი დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნის შეამზანაგება, როგორც ჩინეთია, მაგრამ მონებად რომ დაუდგეთ? თუ ჩვენ მუშახელად ვიქნებით, ეს საქმეა?

სამეცნიერო ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენციის როლისა და მნიშვნელობის განუხრელი ზრდა განაპირობებს საზოგადოებაში მისი სოციოლოგიური ფუნქციების გააზრებას. ელემენტარულია, „ჩინეთად“ სანამ გადაიქცევით, იმდენს უნდა მიხვდეთ, რომ ქართველ მეცნიერებათა მსახურების დაფასება უნდა აღმატებოდეს კანონმდებლთა და სახელმწიფო მოხელეთა დაფასებას, გნებავთ, მატერიალური კუთხით.

ეს გზა, რაც ახლა გვიდევს ხელისგულზე, ის გზაა, რაც პატარა საქართველოს წაადგება. ეს ერთი დიდი საქმეა დიდი მომავლით. გააზრება უნდა, თორემ აგერაა... ასე როგორ და რატომ უნდა გტულდეს საქართველო რომ ეს არ დაინახო?

ეს გზა, რაც ახლა იკვალეება, მნიშვნელოვანი წინაპირობაა საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პროცესების გასაქცხლებლად და ასაჩქარებლად. პროგრესული და პროამერკული ტერმინები გაქრება. ის გაჩნდება, რაც არის — ქართული!

P.S. ძალიან მინდოდა მომეთხრო ჩინურ პირამიდებზე, რაც აკრძალული ზონაა და აშშ-იც ვერ აღწევს ვერაფრით შიგ შესვლას, ადგილზე სიკვდილია; მასზე დატანილ კვარცხზე, რაც ერთადერთ ინფორმაციას შეიცავს ეგვიპტის პირამიდებთან დაკავშირებით, რითი ნათდებოდა და პირდაპირ საქართველოსთან არის კავშირში (თავისთავად რაჭა და ონი); ჩინეთში ნანახ 12-მეტრიანი წითურ გიგანტებზე და ა.შ. მაგრამ ესენი უკვე სხვა თემებია...

მადლობა პრემიერს!

6160 დაუშვილი

საქართველო - ჩინეთი



格鲁吉亚诗人邵塔·鲁斯塔维利雕塑揭幕仪式

Unveiling Ceremony of the Bust of Georgian Poet Shota Rustaveli



5 მილიონად გააქვდა რუსული და 300 მილიონად აღიარებული ტაივანის დამოუკიდებლობა



ქვეყანაში და, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების ფონზე მიგანხილეთ თუ არა დროულად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში?

საქართველოსა და დასავლეთის ახლანდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვგულისხმობ, დასავლეთიდან მკაფიო მოთხოვნას და ზეწოლას მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, მარგინალური და კრიმინალური ძალების მხარდაჭერას, ბალანსის პოლიტიკა მთავრობის მეთაურის მხრიდან დროული და მისაღებია. ზოგადად, ფაქტია, რომ დასავლეთისგან თავის დროზე ვერ მივიღეთ „მარშალის გეგმა“ და მათ ჩვენ ნეოკოლონიალური მართვის მოდელი დაგვიბრუნეს, როცა ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ექსპლუატაცია ხდება ძვირი კრედიტების, ჩვენი რესურსების გაზიდვის და ჩვენი ხალხის იაფ მუშახელად გამოყენების ფორმით. უმდიდრესი საქართველო, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს ევროპის ერთ-ერთი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლაშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ძალიან დონის ორმხრივი შეხვედრები გამართა. საქართველოს მთავრობის მეთაური ჩინეთის სახალხო რეს-

პუბლიკის პრეზიდენტ სი ძინპინთან შეხვედრას ისტორიულს უწოდებს და აცხადებს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შედეგებისა და სიკეთის მომტანი იქნება. საქართვე-

ლო-ჩინეთის პარტნიორული ურთიერთობის სავარაუდო შედეგებზე „საერთო გაზეთთან“ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი ირაპალი გომბაძე საუბრობს.

ჩინეთი, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი, სერიოზული ძალაა და ღირს, შევავსოთ მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. 2023 წელს ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 19 ტრილიონი დოლარია, აშშ-ისა კი - 23 ტრილიონი დოლარია. ისე ჩანს, რომ თითქმის აშშ წინ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ნომინალია. მსყიდველობითი უნარიანობით, ჩინეთის ეკონომიკა შეადგენს 30 ტრილიონ დოლარს, ხოლო აშშ-ის - 23 ტრილიონ დოლარს. ჩინეთმა, პრინციპში, გაუსწრო შტატების ეკონომიკას. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ინდიკატორი, ამერიკის ეკონომიკის 77 პროცენტს მომსახურების სფერო შეადგენს - აქ შედის იურიდიული მომსახურება,

თარ და ევროპულ ბაზარს, სანაცვლოდ კი ჩინელებს შობადობა უნდა შეემცირებინათ პრინციპით „ერთი ოჯახი - ერთი ბავშვი“ და სსრკ-ის წინააღმდეგ აშშ-ის მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ. საბჭოთა კავშირი კვამლად დაშალა, ხოლო ამერიკელებს დარჩათ „ეკონომიკური მონსტრი“, რომელმაც ეკონომიკურ განვითარებაში მათ გაუსწრო და ახლა აღარ იციან, რა უყონ. პეგელი ამბობდა, რომ ცივილიზაციის განვითარება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ხდება და ასეა მუდმივად. ჩანს, რომ პეგელი მართალი იყო - განვითარება ჩვენკენ მოდის.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩინეთი დღეს არის ნომერ პირველი „ეკონომიკა“ მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, ჩინეთთან ურთი-

ტონ ქვეყნების მიტაცება სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობის გზით. ჩინეთთან ურთიერთობები საინტერესოა კიდევ რამდენიმე კუთხით. დავიწყეთ იმით, რომ მსოფლიოს 100 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის 8 ჩინური უნივერსიტეტია, ანუ განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია და ბოლო ათწლეულების განმავლობაში უზარმაზარი მიღწევები აქვს. მეცნიერებაში უამრავ ფულს ხარჯავენ, წელიწადში \$750 მილიარდს, ანუ მშპ-ის 2,4%-ს (მსყიდველობითი პარტეტით \$1,18 ტრილიონს) და ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნისთვის საინტერესოა. თანაც, ისინი ხარჯავენ ფულს ტექნიკურ დისციპლინებში, სამრეწველო ტექნოლოგიებში, სოფლის მეურ-

ბა მცირდება და სწორედ ეს პროცესი არჩევს საქართველოსთვის დამატებით შესაძლებლობებს. ჩინური ტვირთი მოძრაობდა, ძირითადად, ორი მარშრუტით. ერთი იყო საზღვაო მარშრუტი ინდოეთის ოკეანის გაკლით და მეორე - რუსეთის მთელი პერიმეტრი ამერიკული და ბრიტანული საზღვაო სამხედრო ფლოტის მიერ კონტროლდება და დიდი კონფლიქტების დროს აშშ-ს შეუძლია, გადაკეტოს ეს მარშრუტი და ჩინეთის ტვირთი, უბრალოდ, არ გაატაროს, ან ჩაძიროს. ამიტომ ჩინეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჰქონდეს რამდენიმე დამატებითი საზღვაო მარშრუტი, რომელსაც კონფლიქტისა და დიდი კრიზისის შემთხვევაშიც კი ვერავინ შეცვლის. ასეთი მარშრუ-



დროა, მსოფლიო იმ აზრს შევარჩვიოთ, რომ საქართველო სუვერენულ პოლიტიკას აწარმოებს

უმდიდრესი ქვეყანა იყო, 30 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, სიმდიდრისგან და მოსახლეობისგან გამოვიდნენ. ახსნა არა აქვს იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები თავს „საქართველოს მეგობრებს“ უწოდებენ, ჩვენი კი კვლავ სიღარიბე, უმუშევრობა და დემოგრაფიული ზამთარია.

ყველაზე სისხლიან მეორე მსოფლიო ომში დაკარგეთ 400,000 ადამიანი, ხოლო დასავლეთთან „მეგობრობის“ 30 წლის განმავლობაში - 3,500,000. ახლა საქართველოს მოსახლეობა 7 მილიონი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ 3,5 მილიონი დავრჩით. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთი ნერვიულობს ჩინეთთან და რუსეთთან ჩვენი ნებისმიერი კონტაქტის გამო. ეს კარგია, ეს ბალანსის პოლიტიკაა. ინერვიულონ მანამ, ვიდრე არ მიხვდებიან, რომ ნეოკოლონიალური მიდგომა საქართველოს მიმართ აღარ მუშაობს. ჩვენ კი მრავალექტორული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესებში შედის.

ადვოკატები და სხვა სერვისები, რომელთა მომსახურება ამერიკაში ასტრონომიული თანხა ღირს. ჩინეთის ეკონომიკაში კი მომსახურების სფეროს მხოლოდ 55% უჭირავს. გამოდის, რომ ნომინალით ჩინეთის ეკონომიკის რეალური სექტორი \$8,5 ტრილიონს შეადგენს, ხოლო აშშ-ისა \$5,15 ტრილიონს. მსყიდველობითი უნარის მიხედვით კი განსხვავება გაცილებით მეტია: ჩინეთის რეალური ეკონომიკა \$13,5 ტრილიონს შეადგენს, ხოლო აშშ-ის \$5,15 ტრილიონს. ანუ ჩინეთის რეალური ეკონომიკა 2,6-ჯერ დიდია აშშ-ისაზე. ასეთ მაჩვენებლებს ამერიკელებმა თვითონ მიაღწიეს, როცა უარი თქვეს საკუთარ ქვეყანაში მრეწველობის შენარჩუნებაზე. თანაც ამას ჰენრი კისინჯერს და გლობალისტებს უნდა „უმაღლოდნენ“, რომლებმაც 1972 წელს ჩინეთთან სსრკ-ის წინააღმდეგ სტრატეგიულ შეთანხმებას მიაღწიეს. ამ შეთანხმებით, აშშ ჩინეთს გადასცემდა სამრეწველო ტექნოლოგიებს, უზრუნველყოფდა ჩინური საქონლისთვის საკუ-

ერთობები ჩვენითვის საინტერესოა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი უკომპრომისოდ ერთგულია საერთაშორისო სამართლის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის, რაც ჩვენითვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა დასავლეთმა და რუსეთმა ეს პრინციპი დაარღვიეს კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებით.

კონკრეტულად რას მისცემს ჩვენი ქვეყანას ჩინეთთან პარტნიორული თანამშრომლობა?


პირველ რიგში, ეს უსაფრთხოების საკითხია. სი ძინპინმა ღარიბაშვილთან შეხვედრაზე საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი გამოუცხადა. ეს დიდი ამბავია. ფაქტობრივად, ჩინეთი აცხადებს, რომ საქართველოსთან კონფლიქტი უკვე არ არსებობს. ჩინეთი დიდი ხანია, გამოდის დასავლეთის კრიტიკით და მოითხოვს, შეწყვი-

ნეობის ტექნოლოგიებში და დიდად არ ჩამორჩებიან მსოფლიოს სხვა ლიდერებს, როგორც ისრაელი, პოლანდია და აშშ-ია. გარკვეულ სფეროებში მათზე წინაც კი არიან, მაგალითად, ციფრულ ტექნოლოგიებში, ელექტრონიკაში, მიკროელექტრონიკაში, ნახევარგამტარებში, ენერგეტიკულ დანადგარებში და სხვა. ტექნოლოგიური განვითარებითა და ცოდნით ჩინეთი მესამეა მსოფლიოში, აშშ მეოთხე, ხოლო რუსეთი მეხუთე. ამ რეიტინგის სხვადასხვა ვერსიები არსებობს, მაგრამ ჩინეთი ყველგან პირველ ხუთეულშია მყარად.

მთავარი, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ჩინეთთან ეკონომიკურ პარტნიორობაში არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ჩინეთის ტვირთი უკვე რამდენიმე წელია, მოძრაობს საქართველოს გაკლით. „აბრეშუმის გზის“ ძირითადი ნაწილი, წინა ხელისუფლების დოვლათობით, რუსეთზე გავიდა, რადგან რუსეთმა გონივრული სატარიფო პოლიტიკით, რკინიგზის მოდერნიზაციით მოახერხა ჩინეთი-ევროპის სახმელეთო მაგისტრალის ხელში ჩაგდება. ყოველწლიურად 50-იდან 70 მლნ ტონამდე ჩინური ტვირთი ევროპისკენ რუსეთზე გადიოდა. ახლა, უკრაინის ომის ფონზე რუსულ მარშრუტზე ტვირთების რაოდენო-

ტი რუსეთია, მაგრამ ჩინური კომპანიები მეორადი სანქციების შიშით უარს ამბობენ მის გამოყენებაზე. ალტერნატივად რჩება ცენტრალური აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი და თურქეთი, ან კიდევ მეორე, უფრო სამხრეთით: ავღანეთი-პაკისტანი-ირანი-თურქეთი. რუსეთი ჩინეთს სთავაზობს, ასევე, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის საზღვაო მარშრუტს. მაგრამ ჩანს, რომ ჩინეთი დაინტერესებულია მარშრუტების დივერსიფიკაციით და არ სურს, მხოლოდ რუსეთზე იყოს დამოკიდებული.

იმ ტვირთებს, რომელიც რუსეთზე გადიოდა, მთლიანად ჩვენ ვერ წამოვიღებთ, რადგან საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზისა და პორტების შესაძლებლობები შეზღუდულია. საქართველოს რკინიგზას საშუალება აქვს, გაატაროს მაქსიმუმ 30 მლნ ტონა ტვირთი წელიწადში, დაახლოებით იგივე პარამეტრი აქვს აზერბაიჯანს. თუმცა, „საქართველოს რკინიგზაში“ განაცხადეს, რომ 2024 წლისთვის 48 მლნ ტონამდე გაიზარდება ტვირთბრუნვის შესაძლებლობა. სწორედ ამ ფარგლებში შეიძლება ჩინური ტვირთის წამოღება, რაც ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული შემოსავალი იქნება. თითო კონტეინერის გატარებაში საქართველო



მინიმუმ 220-დან 300 დოლარამდე მიიღებს. 48 მლნ ტონა დაახლოებით 2 მილიონი კონტეინერია, რადგან ერთ კონტეინერს დაახლოებით 25-26 ტონა ტვირთი გადააქვს.

ამჟამად დაახლოებით რა რაოდენობის ტვირთი გადააქვს საქართველოს რკინიგზას?

- 2022 წელს საქართველოს რკინიგზამ გადაზიდა 14,7 მლნ ტონა ტვირთი, რაც გაზრდილი მონაცემია 2021 წელთან შედარებით, როცა 12 მლნ ტონა იქნა გადაზიდული. გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა წელსაც იზრდება. ეს არის კარგი სექტორი ჩვენი ეკონომიკისთვის, თუნდაც დასაქმების თვალსაზრისით. ამჟამად მხოლოდ რკინიგზაში 13 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული, მომიჯნავე სფეროებში კიდევ 2-ჯერ მეტი მუშაობს. ამიტომ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის თემაა.

ჩინეთთან თანამშრომლობა ასევე საინტერესოა ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობის საკითხში. საბჭოთა პერიოდში საქართველოს რკინიგზის მატარებლების საშუალო სიჩქარე იყო 70-72 კმ საათში, დღეს კი 58-60 კმ/სთ, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, თუმცა მეტია, ვიდრე ევროპაში (52 კმ/სთ) და ნაკლებია ვიდრე რუსეთში (70 კმ/სთ). ჩინეთში მატარებლის მოძრაობის საშუალო სიჩქარე არის 160 კმ საათში. მაგალითად, პეკინი-შანხაის მაგისტრალზე 450 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობენ მატარებლები. თუ ჩვენ შევძლებთ აზერბაიჯანთან ერთად ბაქო-თბილისი-ფოთი მაგისტრალის აშენებას, ეს იქნება საოცარი გეგმა - ბაქოდან თბილისამდე მანძილი 2-3 საათში დაიფარება. ჩინეთი ჩქაროსნული რკინიგზის 1 კმ-ს \$21 მილიონად აშენებს, ევროპელები - \$39 მილიონად, ხოლო ამერიკელები - \$56 მილიონად. ბაქო-თბილისი-ფოთის ჩქაროსნული რკინიგზა 18-20 მილიარდი დაჯდება, რაც ჩინეთს თავად შეუძლია დაფაროს 49%-იანი წილის 49 წლით გადაცემის სანაცვლოდ და ის მას საკუთარი ტვირთებით უზრუნველყოფს. შესაძლებელია საშუალო ჩქაროსნული მაგისტრალის აშენებაც, რაც ანაზღაურებს ხარჯებს, თუმცა, ამ შემთხვევაში მატარებლის სიჩქარე ნაცვლად 350-450 კმ/სთ-ისა იქნება 200-250 კმ/სთ-ში, რაც ასევე მისაღები უნდა იყოს.

- რაც შეეხება ანაკლიის პორტს, მისი მშენებლობა, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩინეთთან პარტნიორული ურთიერთობების ფონზე...

- იმისათვის, რომ გადაზიდვების თვითღირებულება იაფი გამოვიდეს, საჭიროა დიდი გემების მიღების შესაძლებლობა გვექონდეს, როგორცაა პანამაქსის ან პოსტპანამაქსის ტიპის ხომალდები, რომელიც 20 ათას და მეტ კონტეინერს იტევს, მაგრამ ამისთვის საჭიროა ღრმაწყლოვანი სავაჭრო პორტი. ქართული პორტები არ არის ღრმაწყლოვანი. ბათუმის პორტის სიღრმე 12-13 მეტრია, ფოთის პორტის სიღრმე 8 მეტრამდე შემცირდა, ანუ მოიხილა, თუმცა მისი 13 მეტრამდე გაღრმავება შეიძლება და, მგონი, აპირებენ კიდევაც ამას. ომამდე ოდესის პორტმა გააღრმავა თავისი აკვატორია და ეს 40 მილიონი ევრო დაუჯდა. ოდესის პორტი ორ-სამჯერ დიდი ფოთის პორტზე, მაგრამ თუ ანაკლიის პორტი გაკეთდა, ის იქნება 20,5 მეტრი სიღრმის. ამიტომაც არის ანაკლიის პორტის მშენებლობა მნიშვნელოვანი. ვიცით, რომ ხაზარაძის კონსორციუმმა ვერ მოიხიდა ინვესტიციები და ვერ აშენდა ეს პორტი, სამწუხაროდ. ახლა ის რომ ყოფილიყო, სერიოზულ მოგებას მოუტანდა სახელმწიფოს. თუმცა, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ წელს, ოქტომბერში იწყებს ანაკლიის პორტის მშენებლობას, სადაც სახელმწიფოს ექნება 51%, ანუ ამ პორტის საკონსტრუქციო ბევრი მითქმა-მოთქმა და დიდი ინტერესია, მაგრამ ფაქტი ერთია, რასაც ვერ გავუქცევით, - პარტნიორი უმჯობესია იყოს ის, ვისაც ტვირთები აქვს. ანაკლიის პორტის შესაბამისი ტვირთები კი მხოლოდ ჩინეთს აქვს, არც ევროკავშირს, არც აშშ-ს, არც რუსეთს, არც ირანს... იმდენი ტვირთი არა აქვთ, რომ ანაკლიის პორტი დატვირთონ, რომელიც პროექტით წელიწადში 100 მლნ ტონაზეა გათვლილი.

ანაკლიის პორტი უნდა იყოს 20,5 სიღრმის, რომელსაც ექნება 12 კილომეტრზე გაშენებული 32 ნავმისადგომი. შედარებისთვის, ის იქნება დაახლოებით იგივე კატეგორიის, როგორცაა ნოვოროსისისისის პორტი, რომელიც 120 მლნ ტონა ტვირთს ამუშავებს. დასკვნა ერთია: უმჯობესია, ანაკლიის პორტი აშენდეს ჩინეთთან მჭარი პარტნიორობით, ვინაიდან ჩინეთი მას საკუთარი ტვირთებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ჩინეთი საქართველოს 5 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორისაა.

მათთან თანამშრომლობა დიდი პერსპექტივაა ელექტრონიკასა და მიკროელექტრონიკაში. ჩინეთს,

ასევე, აქვს ერთი ჩვენთვის საინტერესო ტექნოლოგია - თხევადი ნახშირის წარმოება, რომელიც ეკოლოგიურად გაცილებით სუფთაა, ვიდრე ქვანახშირი. ამ ტექნოლოგიით ნახშირი იფქვება, გამოცელება ორგანიკა, მეტალები, სულფატები, სხვა ქიმიური მინარეგები. შემდეგ დარჩენილი სუფთა კარბონი შეერევა წყალს და ხდება პომოგენიზაცია. ასეთი საწვავი არ უშვებს ბოლს, არ გამოყოფს მავნე „მფრინავ აირებს“, აქვს გაცილებით მეტი სითბური ენერჯია და კომფორტულია ტრანსპორტირებისთვის. ხოლო, თუ ღუმელში წნევით შეფრქვევის წინ ელექტროლიზით წყალბადს გამოვაცალკევებთ, მაშინ მარგი ქმედების კოეფიციენტი ორმაგდება, რადგან ცალკე ნახშირი იწვის, ცალკე წყალბადი და ცალკე ჟანგბადი. ეს ტექნოლოგია იქნებოდა საუკეთესო გადაწყვეტილება ტყიბულის ნახშირისთვის და გაჩნდებოდა იაფი სათბობი საქართველო სასათბურე მეურნეობებისთვის, ან თუნდაც თბოელექტროსადგურისთვის.

- ოპოზიციურად განწყობილი ძალები ამ ყველაფერს ვკვების თვლით უყურებენ და ვარაუდობენ,

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა არ ნიშნავს იმას, რომ სხვა პარტნიორებთან ურთიერთობა არ უნდა გვეკონდეს. ვხედავთ, რომ ევკვიანობენ დასავლეთში. მათ უკვე „გამოაგორეს“ თავიანთი კმაყოფილებაზე მყოფი „ენჯილოები“, თუ სხვა რეზიდენტები და ჩინეთის კრიტიკა დაიწყო. გავუცანი მათ გამოვლენებს, რეალურად, არგუმენტები არა აქვთ.

თუ გაგვინაწვენდებიან, რა გაეწვობა?! ჩვენ განაწვენებაზე ხომ არავინ ფიქრობს! დროა, შევაჩვიოთ იმ აზრს მსოფლიო, რომ საქართველო აწარმოებს სუვერენულ პოლიტიკას და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს ყველა მიმართულებით.

- წინა ინტერვიუში, როდესაც ე.წ. სამი ღერძის სტრატეგიაზე საუბრობდით, აღნიშნეთ, რომ ეს ნიშნავს სამი ისეთი ინიციატივის წამოწყებას, რაც, ეკონომიკური ეფექტის გარდა, უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს მოგვცის... შეიძლება თუ არა, ჩინეთთან პარტნიორული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის უსაფრთხოების ერთგვარი გარანტი გახდეს და როგორ განვითარდება ეს კონკრეტული სტრატეგია პარტნიორობის ფარგლებში?

- ჩინეთს შეუძლია სერიოზული პოლიტიკური დახმარების აღმოჩენა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ეგიდით, სადაც ის მუდმივმოქმედი წევრია. მსოფლიოში სულ სამი ძალაა, რომელსაც მეტ-ნაკლებად გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის: აშშ, ჩინეთი და რუსეთი. ახლა კი მიდის ბრძოლა იმისთვის, რომ რუსეთს ეს უფლება ჩამოერთვას, მაგრამ რასაც ვუყურებთ, ეს ჯერჯერობით არ გამოდის. ჩვენ და ჩინეთს კი გვაერთიანებს ერთი ძალიან სერიოზული ასპექტი - საერთაშორისო სისტემის ყველა მონაწილისგან ორივე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უპირობო დაცვას ვითხოვთ. მათ აქვთ ტაივანის პრობლემა, ჩვენ გვაქვს აფხაზეთი-

ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის, ევროპის ქვეყნებმა, ტაივანი ან დამოუკიდებლად აღიარეს, ან ამ საკითხზე მსჯელობა გამართეს. ტარიფები მათთვისაც დაახლოებით ასეთი იყო, ალბათ (ილიმის)...

ვისაც ყველაზე დიდი ტვირთები აქვს მსოფლიოში, პირველ რიგში, ეს არის ჩინეთი და ევროპისკენ მიმავალი ჩინური ტვირთის მომსახურება სერიოზულ შემოსავალს მოიტანს. რაც შეეხება ჩემ მიერ გამოცხადებულ „სამი ღერძის სტრატეგიას“: საკომუნიკაციო სატრანსპორტო დერეფნები ყველა მიმართულებით გახლავთ ამ სტრატეგიის პირველი ღერძი. სატრანსპორტო ღერძი გულისხმობს, უპირველესად, ჩინური ტვირთების მოზიდვას საქართველოს ტერიტორიაზე, ლოგისტიკური ცენტრების საქართველოში განთავსებას, რაც სერიოზულ სარგებელს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას. ასევე მნიშვნელოვანია ინდოეთი-ევროპის ღერძის ამოქმედებაც.

მეორე ღერძი გახლავთ ფინანსური ცენტრი საქართველოში. მაგალითად, ჰონგკონგში არის მსოფლიოში სიდიდით მეოთხე საფინანსო ბირჟა. ნახევრად ოფშორია ჰონგკონგი, იქ საფინანსო ბირჟაზე განთავსებულია 4 ტრილიონამდე დოლარის კაპიტალი, რაც იქიდან უკვე ნელ-ნელა გადის. ეს გამოწვეულია ჩინეთსა და ჰონგკონგის ელიტის უცხოელ მფარველებს შორის გარკვეული უთანხმოებით. ჩვენ შეგვიძლია, რომ ჰონგკონგიდან წამოსული კაპიტალის ნაწილი საქართველოში განვათავსოთ და ეს, შესაძლოა, პრემიერის როტშილდების კომპანიასთან დაწვებული თანამშრომლობის ფორმატში მოხდეს. ასევე ამ ფინანსურ ჰაბში შეიძლება იმ ჩინურმა კომპანიებმაც განათავსონ საოპერაციო თუ სხვა აქტივები, ვინც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ან ევროპასთან ვაჭრობს.

მესამე ღერძი კი საქართველო-

ირაკლი გომბაზა: როდესაც პარლამენტის წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე ვიყავი, იმ პერიოდში ტაივანის წარმომადგენლებისგან იყო შემოთავაზება ჩემს და ჩემი ფრაქციის მიმართ, რომ, თუ საქართველოს პარლამენტის ტრიბუნაზე გავაყდრებდი ტაივანის დამოუკიდებლობის აღიარების თემას, ისინი 5 მლნ დოლარს გადაიხდიდნენ, ხოლო თუ საქართველო ტაივანის დამოუკიდებლობას აღიარებდა, 300 მლნ დოლარს გვთავაზობდნენ... რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების გაყიდვა იქნებოდა, თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის, ევროპის ქვეყნებმა, ტაივანი ან დამოუკიდებლად აღიარეს, ან ამ საკითხზე მსჯელობა გამართეს. ტარიფები მათთვისაც დაახლოებით ასეთი იყო, ალბათ.

რომ ამით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ამერიკას გავანაწვენებთ. „განაწვენება“ ცალკე თემაა, მაგრამ რა უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ამ ურთიერთობას?

- ნებისმიერ დიდ ძალასთან ურთიერთობას სიფრთხილე სჭირდება. სამომავლოდ ყველამ შეიძლება პოლიტიკური ინტერესი გამოხატოს. თუმცა, ჩინეთის ურთიერთობას აზიის, აფრიკის ან ლათინური ამერიკის ქვეყნებთან თუ გადავხედავთ, ის არავისგან მოითხოვს, რომ უნდათ თუ არა, ჩუნური ცხოვრების წესით იცხოვრონ, არ ითხოვენ ლგბტ პროპაგანდას, ან სხვა ნეოლიბერალურ სისულელეებს. ფოკუსირება ხდება მხოლოდ თანამშრომლობის ეკონომიკურ ასპექტზე. ეს მნიშვნელოვანია.

სა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა. ამიტომ ჩინეთი ამ საკითხში უკომპრომისოა და ეს ჩვენ ხელს გვაძლევს.

სხვათა შორის, ახლა ექსკლუზივს ვაიმბობთ: როდესაც პარლამენტის წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე ვიყავი, იმ პერიოდში, ტაივანის წარმომადგენლებისგან იყო შემოთავაზება ჩემს და ჩემი ფრაქციის მიმართ, რომ, თუ საქართველოს პარლამენტის ტრიბუნაზე გავაყდრებდი ტაივანის დამოუკიდებლობის აღიარების თემას, ისინი 5 მლნ დოლარს გადაიხდიდნენ, ხოლო თუ საქართველო ტაივანის დამოუკიდებლობას აღიარებდა, 300 მლნ დოლარს გვთავაზობდნენ... რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების გაყიდვა იქნებოდა, თუმცა

ში რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი ოფისების და წარმომადგენლობების განთავსებაა.

ეს სამივე ინიციატივა პირდაპირ ეკონომიკური სარგებლის მოტანის გარდა, უსაფრთხოების დამატებით გარანტიებსაც მოგვცემს, რადგან გაიზრდება იმ ქვეყნებისა და ფინანსური ჯგუფების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში სტაბილურობით იქნება დაინტერესებული. საერთო ჯამში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობების ყველა შესაძლო ვექტორი საქართველოზე იკვეთება და ჩვენი ტერიტორიიდან არავის საფრთხე არ ემუქრება.

ნონა ქარქაშაძე



გვესაუბრება პოლიტოლოგი ამბროსი მამარაძე:

საუკუნეების განმავლობაში ისტორიაში საქართველო გეოპოლიტიკურ ჯვარს ასვა

ბატონო პეტრე, კვირის მთავარი მოვლენა პრემიერ დარბაზშილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიწვევა იყო. როგორ შეაფასებთ ამ ვიზიტს?

ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი ჰაბია, რაც რუკაზეც თვალნათლივ ჩანს. აქ უძველეს დროში აბრეშუმის გზის ნაწილიც გადიოდა. ჩინეთში პრემიერის ვიზიტით საქართველომ, შესაძლოა, დიდი სარგებელი მიიღოს. ეს ისტორიული მნიშვნელობის ვიზიტი გახლდათ. შეგახსენებთ, რა განცხადება გააკეთა 1992 წელს შევარდნაძემ გაეროში: დედამიწის პატარა ნაწილაკი, ჩემი სამშობლო — საქართველო საუკუნეების განმავლობაში ისტორიამ გეოპოლიტიკურ ჯვარს აცვაო. მაშინ ეს მართლაც ჯვარცმის ტოლფასი იყო, რადგან ქართველები, როგორც ერი, განადგურების პირას ვიყავით. სწორედ მსოფლიო ახალი წესრიგის დამკვიდრების კვალბაზე, საქართველომ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მდებარეობით დიდი სარგებელი უნდა ნახოს. ეს ვიზიტი წლების განმავლობაში მზადდებოდა, ნაუცბათევი გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ ურთიერთობა თანდათან ვითარდებოდა. აღნიშნული ვიზიტი დიდ იმედებს გვიძახავს, რადგან ჩინეთი დღეს ის უდიდესი სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობა მილიარდ-ნახევარი ადამიანია, ხოლო ჯამური ეკონომიკა აშშ-ის ეკონომიკას აღემატება. მოგახსენებთ, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის ფონზე, როცა დასავლეთში მოქმედი სააკაშვილისა და მისი პირადი ბანდის ლობისტების მხრიდან უსაზღვრო ცილისწამების ნიაღვარი მოდის, საქართველოს პრემიერის ჩინეთში ჩასვლა და ასეთი პომპუზური დახვედრა, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა განაცხადა: „მნიშვნელობა არ აქვს, საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენები როგორ განვითარდება, ჩინეთის დამოკიდებულება საქართველოსთან ურთიერთობების განვითარების შესახებ არ შეიცვლება“. სი ძინპინმა საქართველოსთან ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აიყვანა. საქართველოს პრემიერისა და სი ძინპინის შეხვედრა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ეს დიდი გარდევვაა იმ სივრცეში, რაშიც საქართველოს სახელმწიფო იმყოფება და შედეგია იმ სწორად წარმოებული საგარეო პოლიტიკის, რასაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს.

აქვე გეტყვით, რომ ცოტა ხნის წინ საქართველოს ყველაზე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა: გაერომ, მსოფლიო ბანკმა და სხვებმა, ჩვენს მთავრობას უმაღლესი ინდექსები მიანიჭეს როგორც გამჭვირვალების, ისე კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. ამ პარამეტრებით საქართველო მსოფლიოში მე-17 ადგილზეა და ევროკავშირის წევრ თხუთმეტ ქვეყანასაც უსწრებს. ეს ინდექსი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ დგინდება და მით უფრო გაუგებარია, რის საფუძველზე სთხოვენ ჩვენს ქვეყანას დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას. მაშინ იმ თხუთმეტ ევროკავშირის წევრ ქვეყანას, რომელსაც საქართველო ბევრი პარამეტრით უსწრებს, რა ბედი უნდა ექნოს?! აქ რომ ოლიგარქია ყოფილიყო, მსგავს ინდექსებს ვინ მოგვანიჭებდა, ახლოსაც კი არ გაგვაჭაჭანებდნენ.

მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი მოთამაშეები უწევენ? — რა თქმა უნდა, საქართველო ანგარიშგასაწვევი ქვეყანაა, რადგან მას ეროვნული მთავრობა ჰყავს, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტს იცავს. ბოლო ხანებში საქართველომ დაამტკიცა, რომ ის „ენჯელო“ არ არის. დიახ, სამარცხვინო არ არის არასამთავრობო ორბანიზაცია, ის მაროვნული სახელმწიფოა თავისი სუვერენული ინტერესებით. ეს ყველა უნდა ესმოდეს და ამ მოცემულობას ანგარიში გაუწიოს. ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაღალი ინდექსი მოგვანიჭეს, თუმცა მოსამართლეებს სანქციები მიანიჭეს დაუწესეს. სხვა ქვეყნებში რა ვითარებაა?! უკრაინაში აღვირახსნილი კორუფციაა, რის შესახებაც ამერიკელი ექსპერტები წერენ. ამ ფონზე, უკრაინაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სულ რაღაც 2,8 მილიონ

„პუტინის მოკავშირე“ სი ძინპინს?! აშშ-ის საუღის არაბეთთან ურთიერთობაზე რას იტყვიან, საინტერესოა. ესენი სრულიად ნამუსგარეცხილი ადამიანები არიან. არ დამავეწყდება სააკაშვილის საჯარო განცხადება: ევროპაში დიქტატურას ბოლო უნდა მოეუღოთ და ლუკაშენკო პოსტიდან ჩამოეგდოთ. მან იქ გიორგი კანდელაკის და სხვების შემადგენლობით დესანტი გააგზავნა. მაშინ ბელორუსში არჩევნები იყო. ჩვენი „დესანტი“ იქ დააკავეს, უკან სამარცხვინოდ გამოაბუნძულეს, სამაგიეროდ, სააკაშვილმა მთელ მსოფლიოში დემოკრატიისთვის მებრძოლი ლიდერის სახელი დაიმკვიდრა. 2008 წლის მერე, როცა ლუკაშენკომ კრემლის მხრიდან სერიოზულ ზეწოლას გაუძლო და ხელი არ მოაწერა, არ ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ამის მერე ლუკაშენკო ბათუმში იყო ჩამოსული. სა-

ქრთამის აღებისთვის დააპატიმრეს. უკრაინის მასშტაბით ეს კაპიკება, მაგრამ მას ვინმე სანქციები დაუწესა?! ეს დიდი უსამართლობაა. შეგახსენებთ, ობამა სააკაშვილს არ ხვდებოდა, ხელსაც არ ართმევდა. პასუხად, რა გააკეთა სააკაშვილმა? — საქართველოში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოიყვანა, უმაღლეს დონეზე მიიღო და განაცხადა, რომ ირანთან უვიზო რეჟიმს აწესებს. პარტნიორი დასავლეთი შავ დღეში ჩააგდო — მიშასთან ლამის რიგი დადგა, ეს არ გააკეთო. ჩვენი მთავრობა ამას არ კადრულობს, მაგრამ საქმიანი ურთიერთობის განვითარება პრიორიტეტია. საუღის არაბეთმა თავისი მმართველის ბრძანებით, ამერიკის მოქალაქე თურქეთის საელჩოში აკუსა. ეს დამტკიცდა, ტრამპმაც დაადასტურა, მაგრამ ურთიერთობა ხომ არ წამოხდება?! აშშ-მ, ჯერ კიდევ ტრამპის დროს, საუღის არაბეთთან 107-მილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა.

— ოპოზიციური არხები ამ ვიზიტის დაკინებას შეეცადნენ. მათი ინფორმაციით: დარბაზშილი კომუნისტურ ჩინეთში ჩავიდა, „ქართული ოცნება“ პარტნიორებს პუტინის მოკავშირეებში ექებო... — ბაიდენი რომ ხვდება სი ძინპინს, ბლინკენი ჩინეთის ვიზიტით რომ სტუმრობს, მუდმივად მოლაპარაკების რეჟიმში რომ არიან, ეს რას ნიშნავს?! რატომ ხვდებიან

კავშილი მუცელზე ხოხავდა და მსოფლიოს გასაგონად აცხადებდა: ლუკაშენკო მთელ ევროპაში ყველაზე ბრძენი ლიდერიაო. და ამ კაცს ვუწოდებთ პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოღვაწეს?! ლუკაშენკოს რომ აკრიტიკებდა, თავი ეგონა, რომელსაც გრანტი მისცეს „ამ დამსახურებისთვის“?! იგივე მოხდა ორბანთან ურთიერთობის დროსაც. ორბანი ნატო-ს და ევროგაერთიანების წევრ ქვეყნად რჩება. ვინმემ გამოაგდო ევროკავშირიდან?! არადა, მთელი ოპოზიცია გაჰყვიროდა: პუტინის ძმაცაიყო. ახლანა პოლონელებმა უცხოური აგენტების შესახებ კანონი მიიღეს, რომელიც მართლა დრაკონული კანონია. იქ ისეთი სანქციებია ჩადებული, რუსეთს არც დაესმურება. თან ყველამ იცის, რომ ეს კანონი ოპოზიციასთან საბრძოლველად მიიღეს. მიუხედავად ამისა, ის ნატო-ს, ევროკავშირის წევრ ქვეყნად რჩება. პატარა კრიტიკა გაისმა, სერიოზული არაფერი. საქართველოს მიმართ რა ამბავი ატყდა, გახსოვთ?! — არ გაბედოთ ამ კანონის განხილვაც-კიო. ჩემთვის ბოლო წვეთი „ფარას“ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები იყო. აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებს მიშას ლობისტებთან ზარების განხორციელება ევალებოდათ. აშშ-ის საელჩომ ამას დეზინფორმაცია უწოდა. რა არის დეზინფორმაცია? — ეს ხომ აშშ-ის იუსტიციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა!

— ბატონო პეტრე, ოპოზიციაში დიდი გადაღაცებებია...

— ოპოზიციამ იცის, რომ არჩევნებში ბარიერის გადალახვის შანსი პრაქტიკულად არ აქვს. ამიტომ სხვა გზებს ეძებს. ხალხს ხელშესახებს არაფერს სთავაზობენ, მხოლოდ იმაზე საუბრობენ, ვინ ვისზე რა თქვა. ეს ხომ კატასტროფაა. ოპოზიცია სრულად მარგინალიზებულია. მათ არ ჰყავთ ლიდერი, რომელსაც ქარიზმა გააჩნია. ერთი სააკაშვილია ასეთი, რომლის ერთგულიც მხოლოდ მისი სექტაა. გადახედეთ სხვა ფიგურებს — ხაბეიშვილს, ბარამიძეს, გახარაძეს, „ლელოს“ ნულოვანი რეიტინგი აქვთ. ამაზე ერთი მაგალითი მახსენდება: სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, „ახალმა მემარჯვენეებმა“ ალიანსი კუკავასთან შეკრეს. ეს ანეკდოტად დარჩა. კუკავას პროგრამაში ეწერა: არავითარ შემთხვევაში ნატო-ში არ უნდა შევიდეთ, რუსეთთან უნდა ვიყოთ. „ახალი მემარჯვენეები“ კი ხსნას ნატო-ში გაწევრიანებაში ხედავდნენ. მათ ერთად, ერთ ბლოკში იყარეს კენჭი და ნული პროცენტიც მიიღეს. ახლაც იგივე სუნი ტრიალებს. არადა, პოლიტიკიდან წასვლაც არ უნდათ — აქ ხომ ძალიან დიდი ფული კეთდება. დიახ, პარლამენტში ყოფნა დიდი ფულის კომიზის საშუალებაა. აი, რისთვის ჭიღარობენ.

— არჩევნებამდე ერთი წლით ადრე კოალიციების შექმნა იმის მანიშნებელიც ხომ არ არის, რომ შემოდგომაზე კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით უარყოფით პასუხს ელიან და ვადამდელი არჩევნების იმედი აქვთ?

— რასაკვირველია, ეს გეგმა არსად გამქრალა. იმიტომაც არწმუნებენ დასავლეთში სააკაშვილის ლობისტებს: ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საქართველომ სტატუსი ვერ მიიღოსო. ამაზე უკვე ლიად საუბრობენ. სამადაშვილმა პირდაპირ ეთერში ხომ თქვა: დასავლეთს ვეუბნებით, საქართველოს სანქციები დაუწესეთ და ისინი ყოფიანობენო. იმედი აქვთ, რომ ამ შემთხვევაში ხალხის ქუჩაში გამოყვანას შეძლებენ. აი, ეს უნდათ. როგორი იქნება ევროგაერთიანების შემდგომი ბედი, არავინ იცის. ექსპერტების თქმით, უახლოეს ათ წელიწადში გაფართოება მოსალოდნელი არ არის. შეიძლება ამ დეკადის ბოლოს ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანების საკითხის განხილვა დაიწყო. ამ ფონზე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება ისეთივე მირაჟია, როგორც თავის დროზე ნატო-ს ასპირანტობა მივიღეთ. ეს ახლა ვინმეს აინტერესებს?! ეს ფიქციაა. ასეთი ფიქცია კანდიდატის სტატუსიც, რაც თურქეთმა 25 წლის წინათ მიიღო და რა?! აი, ეს ფიქცია გაიხადა „ნაცმოძრაობამ“ ფეტიშად, რაც მარაზშია. იმედა, ხალხს სიბრძნე და საღად აზროვნების უნარი ეყოფა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საკუთარ ომში სხვისი იარაღით არ იბრძვიან



გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე კვიციანიძე:

— მოდი, მოვლენებს თავიდან მივყვით: ყველას ეგონა, რომ ვაგნერმა რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. სინამდვილეში, ასე არ არის. ეს რუსეთის ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენაა. პრიგოჟინს და პუტინს არავითარი უთანხმოება არ მოსვლიათ, ეს თამაში, სამხედრო ოპერაციის ერთი ნაწილი იყო. ვაგნერი არასახელმწიფო სამხედრო არმიაა, სადაც ნებაყოფლობით მიდიან. ვაგნერი არ ემორჩილება სახელმწიფოს, თავდაცვის მინისტრს. **სად ბაგოვილა, რუსეთის განმარტება თავდაცვის მინისტრი ბაგოვილა?** პუტინი ყველაფრის საქმის კურსში იყო. ეს თეატრალური სვლა იყო. როგორ ფიქრობთ, პრიგოჟინს მოსკოვში შეუშვებდნენ და კრემლს ააღებინებდნენ?! ქართული ოპოზიციური ტელევიზიები გაჰყვიროდნენ: ორ საათში ვაგნერი კრემლში შევაო. ეს სასაცილოც იყო და სამარცხვინოც. ვერ გაუგიათ, რომ პუტინის დამარცხება ჩვენთვის სახარბიელო არ იქნება. რუსეთი თუ დამარცხდა, ისეთ კუდს მოიქნევს, საქართველოს გასანადგურებლად ნამდვილად საკმარისი იქნება. ოპოზიციის აზროვნება ამას ვერ სწვდება. **ბაგოვილაში ვაგნერის შესვლა ბაგოვის ნაწილია.** აქედან მას შეუძლია რუსეთის მოწინააღმდეგე ვეროპის რომელიმე ქვეყანაში შევიდეს — პოლონეთში, ან სხვა მოსაზღვრე

უკრაინა, ფაქტობრივად, დაშლის პირასაა. მას თუ რაიმე კრავს, ეს ომია. ომის დასრულებისთანავე ზელენსკის ჩამოაგდებენ, არჩევნებში ვეღარ გაიმარჯვებს. იმ დროისთვის, რუსეთ-უკრაინის ომიც უნდა დამთავრდეს. მოლაპარაკების მაგიდას რუსეთი და უკრაინა მიუსხდებიან. ოღონდ უკრაინას რაც სურს, ისე არ გამოვა. პირდაპირ ვაცხადებ: **რუსეთი არავითარ შემთხვევაში ფირიმს არ დათმობს, ეს გამორიცხვულია.** ამისთვის ის ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს.

პრიგოჟინი – საფრთხიანი პერსონაჟი

ვეროპა პრიგოჟინს მხარს უჭერდა — მოსკოვში შედიო. ახლა ის მათთვის საფრთხილად იქცა. პრიგოჟინის გამოყენების შემთხვევაში, პუტინს შეუძლია ამ ქვეყნებს სულ სხვა ამოცანები დაუყენოს. კი პოლონეთი ალიანსის წევრია, მაგრამ ნატო მის წევრ ქვეყანას ხომ არ დაარტყამს?! თუ დაარტყამს, რუსეთი ატომურ ბომბს გამოიყენებს. მეტიც, მან შეიძლება ატომური ბომბი სხვას გამოაყენებინოს და მერე თავად უპასუხოს. ეს მის მიერ შემუშავებული ტაქტიკაა. პუტინი რუსეთის ისტორიაში მოვლენაა, რომლის მსგავსი არ ჰყოლიათ. ის ძლიერია. მსოფლიო პოლიტიკოსების რეიტინგებში პუტინმა პირველი პოლიტიკოსის ადგილი სამჯერ დაიკავა.

მას შემდეგ რაც რუსეთმა მართლმადიდებლობა მიიღო, ის რუსს არ უმართავს. იმდროინდელ რუსეთში არავინ იყო ისეთი, ვინც სამეფოს მართვას შეძლებდა. შემდგომ ოლეგმა, სვიატოსლავმა, იგორმა, ივანე მესამემ და ივანე მრისხანემ რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეძლეს. ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა რიურიკებმა ითამაშეს, რომლებიც რუსეთში ჩამოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ჩინგიზ ხანის, მონღოლთა ბატონობა სამასი წელი გაგრძელდა, მაგრამ მართლმადიდებლობისთვის ხელი არ უხლიათ. მონღოლები საქართველოშიც იყვნენ და ეკლესიებისთვის ხელი არც აქ უხლიათ. საბოლოოდ, ეს ორი ერთმანეთს შეეთქვიფა და რუსისა და მონღოლის ჰიბრიდული შენაერთი მივიღეთ. აქვე ვიტყვი: რუსეთი უზარმაზარ ტერიტორიას ფლობს, რაზეც ფეხი ჯერ არავის დაუდგამს. ეს მიწები, გარკვეულწილად, რუსეთის სიმდიდრეა.

ჩნდება კითხვა: გაუძლებს თუ არა რუსეთი ამერიკისა და ევროპის შემდგომ შემოტევებს. რა თქმა

დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი.

ბოლომდე და ქართული ოპოზიციის საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ

ჩვენთან საზოგადოება ორ ნაწილადაა გაყოფილი. ახალგაზრდობას სურს, რუსეთი ამ ომში დამარცხდეს. არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ ომს, რასაც ამერიკა, ევროპა, უკრაინა აწარმოებენ. ომის საკითხი ოპოზიციამ ქართულ პოლიტიკას მიბა. ჩვენი ოპოზიციონერების მოსაზრება ასეთია: თუ რუსეთი დამარცხდება, ეს საქართველოს გამარჯვება იქნება. ჯერ კიდევ ბოლომდე მხარს საკუთარი ქვეყნის დამარცხებას უჭერდნენ. ანალოგიური ხდება დღესაც — საქართველოში ოპოზიციონერები მხარს ხელისუფლების დამარცხებას უჭერენ.

რუსეთ-უკრაინის ომიდან საბაზო ომამდე

ბოლოდროს ბრძოლა გავისხნოთ — რუსები, ფაქტობრივად, დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლის დასასრულს რუსულმა ჯარებმა წარმატება მოიპოვეს. დღეს, რუსეთის იდეოლოგიური რესურსებიდან გამომდინარე ვერ ვხედავ, რომ ის დამარცხდება. რუსეთი ამბობს, რომ ეს ომი კი არა, სამხედრო ოპერაციაა, რა დროსაც ყველას ბრძოლაში გაწვევა აუცილებელი არ არის. მაგრამ როცა ომი ცხადდება, ეს შესაძლოა სამაშულო ომში გადაიზარდოს. აი, სამაშულო ომში კი რუსეთი ჯერჯერობით არ დამარცხებულა. გამორიცხვული არ არის, რუსეთმა საყოველთაო მობილიზაცია და უკრაინის წინააღმდეგ ომი გამოაცხადოს.

არსებობს გზა — რუსეთი უნდა დაეარსებინოს

არანაკლებ საინტერესოა ომის წარმომავლობა — ვინ არიან ის ძალები, რომელთაც რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის გამოყენება ჩაიფიქრეს.

არსებობს გეგმა — რუსეთი უნდა დამარცხდეს, განადგურდეს. აქ მთავარი ინტერესებია — რას მიიღებს ამერიკა ამ ომის შედეგად! მან უკვე მიიღო უზარმაზარი თანხები, ღწენდ ღწენდ, რომელიც შეიძლება, ერთი საუკუნე გაგრძელდეს. რაც მთავარია, ჩემი აზრით, ომი ამერიკამ დაიწყო. აქვე ერთ საინტერესო დეტალზე მოგახსენებ: რუსეთის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის გამოყენებაც იგეგმებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხდა. აშშ-ს სურს, იმისთვის, რომ რუსეთთან ახლოს წარმატებას მიადწიოს, იქ ამერიკული ბაზები ჰქონდეს.

გარდა ჩემი ძირითადი საქმიანობისა, ვარ ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი და ვკითხულობ ლექციებს ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ჩვენ ვუშვებთ ჟურნალისტიკის ძირითად მოთხოვნებისა და მიმართულებების ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდებს, მაგრამ კონკრეტულ მედიასაშუალებებში მათ კონკრეტული მოთხოვნები

ხვდებათ. ესეც ერთგვარი თამაშის წესებია, რასაც შეგიძლია დაემორჩილო, ან - არ დაემორჩილო. თუმცა, საკუთარ თავთან დისკომფორტი მიმიე რამაა და არაფრის ფასად ღირს, მერწმუნეთ.

- „ბიბისის“ სკოლა ახსენეთ. კონკრეტულად რას აიღებდით ამ „სკოლიდან“ ქართულ რეალობაში?

- „ბიბისიდან“ ავიღებდი მთავარს - ინფორმაციის სიზუსტეს. ინფორმაცია უნდა გადმოსცე ზუსტად, დაუმაზინჯებლად, კომენტარის გაკეთება კი შენ საქმეა. როცა ზუსტ, ობიექტურ ინფორმაციას გადმოსცემ, მას საზოგადოება თავად იაზრებს და თავადვე წყვეტს, მისაღება თუ არა მისთვის ჟურნალისტის კომენტარი.

- ოქროს სტანდარტი თუ არსებობს ჩვენს პროფესიაში?

- ჩემთვის არსებობს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი. ისე კი, ყველა მედიასაშუალებას თავისი პროფესიული სტანდარტი, თავისი მოთხოვნები აქვს. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი გამოცდილება, რაც შეიძლება მოგწონდეს, ან არ მოგწონდეს. დღეს, ინტერნეტის ეპოქაში, უპრობლემოდ შეგიძლია ნებისმიერი სასურველი ინფორმაციის მიღება, ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, როცა ლანძღავენ ამ თუ იმ არხს, გადაცემას ან ჟურნალისტს და მაინც უყურებენ მას.

- ათი წლის განმავლობაში ქვეყნის პირველ პირთან ყოველკვირეულ რადიოინტერვიუს უძღვებოდით. როგორ გახდით „შევარდნაძის ჟურნალისტი“, როგორი იყო ყოველი პრეზიდენტი პირად ურთიერთობებში, იმ წლებს როგორ გაიხსენებდით?

- მესმის თქვენი კითხვის პათოლი. როგორ გითხრათ, ნებისმიერი ჩვენგანი სხვისი შეფასებისას საკუთარი თავიდან, საკუთარი მორალიდან გამოდის. არასდროს ჩამოვლია თავი ვინმეს ჟურნალისტად, თუმცა, როცა ორშაბათის რადიოინტერვიუს ამგვარი შეფასებაც მოჰყვა, მივხვდი, რომ ჩემთვის ეს დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი გარანტი შეიძლებაოდა გამხდარიყო. ანუ, ვაკეთებდი იმას, რაც მსურდა და ვერავინ მზღუდავდა. თუკი ორშაბათის ინტერვიუების თემატიკა კვირის მოვლენებს არ სცდებოდა, ჩემი საავტორო ყოველკვირეული ანალიტიკური ტელეპროგრამა, „ტიამ-აუტი“ თემატიკით შეზღუდული არ იყო და ძალიან დიდ შესაძლებლობებს მძლევედა.

რადიოინტერვიუს რაც შეეხება - დარეკეს ტელევიზიაში, ბატონ არჩილ გოგელიასთან, შეგვარჩიეს რამდენიმე ჟურნალისტი და გაგვიშვეს ინტერვიუს ჩასაწერად ბატონ ელუარდ შევარდნაძისთან. მათ შორის ვიყავი მეც. საბოლოოდ

მე შემარჩიეს. მივიღე კვირაში ერთხელ, კანცელარიის შენობაში, ღია ეთერში გადიოდა რადიოინტერვიუ 1993-2003 წლებში. ეს იყო წლები, როცა ჩვენს თვალწინ დამოუკიდებელი საქართველო იბადებოდა. იყო უამრავი ახალი პროექტი და იყო ეკონომიკური კრიზისი და კრიზინალი. მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც იმ პერიოდში პოპულარულ, როგორც მაშინ ირწმუნებოდნენ, ჩინურ წყევლაშია - „ღმერთმა საინტერესო დროში გაცხოვროსო“. დრო კი მართლაც საინტერესო იყო თავისი გმირებითა და ანტიგმირებით, საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის პირველი ნაბიჯებით (გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო, ეუთო-ს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზე შეთანხმება), გრანდიოზული ეკონომიკური პროექტებით (აბრეშოვნის გზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი...) და პარალელურად - კუპონი, 14-ლარიანი პენსია, უმუშევრობა და სიცოცხლე.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, როგორი იყო შევარდნაძე პირად

„ხალხური პოეზიის საღამოები“, რომლის წამყვანები ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული იყვნენ, თამაზ კვაჭანტირაძის ქართული ლიტერატურის ტელეგაკვეთილები, რომლებიც სრულდებოდა მოწოდებით - „წინ, ილიასაკენ“, ევგენი მაჭავარიანის „ეს ესტრადაა“, რომელიც იმ დროისთვის აკრძალულ უცხოურ მუსიკას გვაცნობდა, ოთარ სეფიაშვილის „ილუზიონი“, რომელმაც უცხოური კინოს შედეგებს გვაჩვენა, ხალხური შემოქმედების ერთადერთი რედაქცია მაშინდელ საბჭოთა კავშირში, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჩვენი უსაყვარლესი ანსამბლი „ჟურნალისტი“, შემდგომ „ქართული ხმები“ რომ ეწოდა. ასე რომ, თუ მოისურვებ, ნებისმიერ სისტემაში ნებისმიერი ზეწოლის შემთხვევაში შეგიძლია იპოვო გამოსავალი.

რაც შეეხება 2003 წლის ცენზურას, კი, იყო პერიოდი, როცა ლამის ყველა ტელევიზიის დღის წესრიგს ერთ კაბინეტში ქმნიდნენ. ამ მძიმე გამოწვევას, ვფიქრობ, ყველაზე ღირსეულად მაშინ ბეჭდურ-

მა მედიამ გაართვა თავი. პრესის ბევრმა წარმომადგენელმა მოახერხა, საკუთარი არსებობის რისკის ფასად გაეტანა თავისი სიმართლე. ამის გამო მათ მატერიალური ზარალიც მიიღეს, მაგრამ ბოლომდე თავიანთ პრინციპებს უერთგულეს.

- ელუარდ შევარდნაძისთან ბოლო შეხვედრას ხომ ვერ გაიხსენებდით? გისაუბრიათ, ალბათ, მასთან სააკაშვილსა და მის გუნდზე. რას ამბობდა ამ სამეულზე, როგორ აფასებდა სიტუაციას?

- ზოგადად აფასებდა სიტუაციას, საუბრობდა შექმნილ კრიზისზე, არეულობაზე. კონკრეტულად სააკაშვილსა და მის გუნდზე, არ მახსოვს, რამე მნიშვნელოვანი ეთქვას. არც პირადი საუბარი გექონია ამ თემაზე. როგორც ყოველთვის, დავასრულე ინტერვიუ, რომელიც მუდამ პირდაპირი ეთერის რეჟიმში გადიოდა, დავეშვიდობე და წამოვედი.





ტეტით სარგებლობდა გაბრიელ ეპისკოპოსის გარემოცვაში, იმ ვარაუდით, რომ მის სახლს არ გაჩხრეკდნენ, ორი ძებნილი შეიფარა, ქიაჩელი და სულიაშვილი. ჟანდარმებმა დაახლოებით იცოდნენ, რა ტერიტორიაზე იმალებოდნენ გაქცეულები და მამაჩემის სამყოფელს რომ მისდგომიან, მამა თურმე იმ დროს ხის მესერს ღებავდა, მაგრამ რომელიღაცას უცვნიან, უთქვამს, ეს იაკინთეა, ეპისკოპოსის შვილობილი და აღარ გაჩხრეკეს მისი სახლი...

თვით ბარონი ბიბინიშვილი 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო, დემონსტრაციებში, გაფიცვებში და შეიარაღებულ ბრძოლებში მუდ-

წლის ვიყავი, მამა რომ გარდაემცვალა, მაგრამ მარკ ტვენით კი არ აღვიქვამდი მას, არამედ, უადრესად ნაკითხ, განათლებულ და ყოველმცოდნე ადამიანად. ხომ გახსოვთ, მარკ ტვენმა რა თქვა, „14 წლის რომ ვიყავი, მამაჩემი ისეთი უვიცი იყო, ძლივს ვიტანდი, მაგრამ 21 წლის რომ გავეხდი, გაოცებული ვიყავი იმით, რამდენი რამის სწავლა მოუსწრია მოხუცს შვიდ წელიწადში...“

მამაჩემს თვით ნიკორწმინდელმა (წარმოშობით ნიკორწმინდელი ვართ) ბოლშევიკებმა ვერ გაუგეს, შენ თუ ჩვენიანი იყავი, ანაფორა რატომ გეცვაო, სამღვდელოებამ — პირიქით... ამ მაშინ, ან ახლა ვინ გაიგებს იმ კაცისას,

ლა 1931 წელს, თორემ საკუთარი თავგადასავალი უნდა დაებეჭდა იმ დროს გამოძვალ ჟურნალში „რევოლუციის მატთანე.“ ასე დასრულდა ერთი უბედური კაცის ცხოვრება უბედურ ეპოქაში...

გასული საუკუნის მშფოთვარე დასაწყისში, გარდა იმისა, რომ ახალმა იდეამ ორად გაჰყო საზოგადოება, თვით ადამიანებშიც მოხდა გაორება, ვეღარ ერკვეოდნენ საკუთარ შეხედულებებში. უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ბოლშევიკურ-მენშევიკურმა გადარბენამ...

სურათს, რომელიც თქვენს წინაშეა, რელიკვიად ვინახავ, რადგან მასზე აღბეჭდილ იმდროინდელ ჩინიან ხალხში სხვიად

მოგვიანებით, რამდენიმე მოძღვართან ერთად, გენუის საერთაშორისო კონფერენციაში გაგზავნილ მიმართვაში მონაწილეობისთვის საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ ამნისტიამ მოუსწრო და გაათავისუფლეს. ამდენად, იგი საეჭვო პირად იყო მიჩნეული, რა გასაკვირია, გაუნათლებელ და გონებაშეზღუდულ, მაგრამ რევოლუციის სახელით მოსულ დაფეთებულ ახალ ხელისუფლებას ამდენი სასულიერო პირის ერთად ყოფნა მათ წინააღმდეგ გამართული კრება რომ ჰკონებოდა?

1921 წელს, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ნოე ჟორდანიასა

მამა იაკინთე - აგაპი ერთი წინააღმდეგობრივი კასისა

— მამაჩემი, იაკინთე, წინააღმდეგობრივი კაცი იყო, — ასე დაიწყო საუბარი ღირსების მედლის კავალერმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ეკონომიკური თეორიის პროფესორმა ევგრაფ კანდელაკმა, — როგორც შვილი, ისე კი არ ვამბობ, ნამდვილად ასე იყო. არ არის აუცილებელი, რომ მოღალატური ბუნება გქონდეს და იმიტომ იყო ხან აქეთ და ხან იქით...

მამაჩემი გაბრიელ ეპისკოპოსის მედავითნე იყო ქუთაისის სობორში, მისი სიყვარულითა და ნდობით აღჭურვილს, ასევე დიდი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ეპისკოპოსის წრეში. რა იყო და როგორ — არ ვიცი, მაგრამ მედავითნე კაცი მარქსისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცა. არასოდეს უარუყვია უფალი, აღიარებდა და ეთაყვანებოდა მას, მაგრამ თავისებურად ებრძოდა ცრუმორწმუნეობას. გესმით? მას სწამდა უფლის სიტყვის, მაგრამ რადაცუბს თავისებურად ხედავდა და ის აწუხებდა, თვლიდა, რომ ის რადაცუბს უტყუნდა სახელს ეკლესიას. მე ამგვარ საკითხებში ვერ ვერკვევი, მაგრამ, როგორც ჩანს, არასწორი იყო მისი ქმედება, — იგი უკან აბრუნებდა ეკლესიაში მიტანილ საკურთხის და მიმტანს ეუბნებოდა, წაიღე უკან, შენს შვილებს აჭამე, ისედაც მწირ ლუკმას ნუ მოაკლებ, მე აქ საკურთხის გარეშე ვილოცებ შენი მიცვალებულის სულისთვისო. ამ ამბავმა ეპისკოპოსის ყურამდე მიადწია და ეპისკოპოსი გაუნაწყენდა, ასეთი საქციელი საეკლესიო წესების დარღვევა არისო...

აქეთ ხომ ეკლესიით ცხოვრობდა, იქით ღრმად შეიჭრა ბოლშევიკებთან. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, ციხიდან გაიქცნენ სიკვდილიანი პატიმრები, რომელთაც თბილისში, ერევნის მოედანზე მდებარე ბანკის გაძარცვა ედებოდათ ბრალად. ორი რევოლუციონერი დამალა მამაჩემმა. ბარონი ბიბინიშვილი თბილისში „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“ წერდა: „მთელი დღე დავდიოდით მე და ბოლშევიკი მღვდელი იაკინთე კანდელაკი, რათა შეგვეძინა ბოლშევიკებისთვის სამოსი...“ ვინაიდან იაკინთე დიდი ავტორი-

„ვევლანარი მშვიდობა როდია საღმრთო მშვიდობა! რამეთუ არსებობს მშვენიერი უთანხმოებაც და არსებობს დამღუპველი ერთსულოვნებაც, უნდა გვიყვარდეს მხოლოდ ჭეშმარიტი მშვიდობა კეთილმზანდასახული და ღმერთთან მიმყვანებელი, რადგან, როცა საქმე აშკარა უკეთურობასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვრიდოთ. არცა დროისა და ხელმწიფე-

მივად იყო ჩართული. ქუთაისის ციხეში გვირბი რომ გათხარეს და პოლიტპატიმრები გაიქცნენ, ეს ბარონი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ორჯერ დააპატიმრეს, გადასახლეს, მაგრამ მაინც თავისას აგრძელებდა. მოკლედ, სულიაშვილი ბათუმამდე ჩააცილეს და შენევაში გააპარეს, რომელიც შემდეგ, 1917-ში ლენინთან, მიხა ცხაკაიასთან და ემიგრაციაში მყოფ სხვა რევოლუციონერებთან ერთად დაბრუნდა.

მამაჩემზე ვსაუბრობ და თვით სულიაშვილიც უცნაურად მოიქცა, — მხოლოდ ლენინთან კი არა, ემიგრაციაში მყოფ ყველა რევოლუციონერთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე დიდი რევოლუციონერი ბოლშევიკი უცბად მენშევიკურ პარტიაში შევიდა. მამაჩემმა მაინც არ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა და არქივში მუშაობისას სწავლული მდივნის მოადგილედ მიიღო, — ხომ გითხარით, თავისებურად უცნაური კაცი იყო, საკუთარი ხედვა ჰქონდა ყველაფრის მიმართ, რის გამოც ხან წინააღმდეგობრივ პიროვნებად მოვიხსენიებ, ხან ორბუნებოვნად..

1926 წელს მამამ მიატოვა რაჭა და თბილისში ჩამოვიდა. მე 12-13

რომელიც არალეგარულად იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი და სულით ხორცამდე სწამდა უფლის სიტყვისა და ლენინური იდეებისა, ეს ხომ აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან... მამაჩემმა მსგავსი კიდევ ერთი კაცი იყო რაჭაში, გვარად მესხი, რომელსაც ანაფორა ეცვა, მაგრამ ახლო კავშირი ჰქონდა იმ ახალ თაობასთან, რომელიც რელიგიას კი არ უარყოფდა, არამედ, რელიგიის სახელით ხალხის მოტყუების წინააღმდეგ იყვნენ...

სულიაშვილი რომ ვახსენე, ეს ის სულიაშვილია, ლენინს სტალინისადმი მიწერილ წერილში „მგზნებარე კოლხიდელად“ რომ ჰყავს მოხსენიებული. 1949 წელს, როდესაც სტალინი ბორჯომში იხვეწებდა, სულიაშვილი მასთან მივიდა, მაგრამ სტალინმა არ მიიღო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით იცოდა ამბები მისი საქმიანობის შესახებ, ძველ და გულითად თანამებრძოლს რეპრესიები არ შეეხო და ზურგსუკან მაინც თბილად მოიხსენიებდა, „გადგვარებულ ბოლშევიკს“ უწოდებდა...

მამაჩემმა ვეღარ მოასწრო, ფილტვების ანთებით გარდაიცვა-

თა მოთხოვნებს დავემორჩილოთ, მით უმეტეს — არამც და არამც არ უნდა ვეზიაროთ მზაკრულ დერტას, არ უნდა მივემთხვიოთ სენშეფრილს! ყველაზე დიდი ცოდვაა, ღმერთზე მეტად გემინოდეს რაიმესი, და ამ შიშის გამო ვღალატობდეთ სარწმუნოების სწავლებას.“ (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა მეექვსე „მშვიდობის შესახებ“)

ანათებს 1994 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ წმინდანად შერაცხული მღვდელი ბესარიონ კუხიანიძე. მამაჩემიც აქვე დგას, მაგრამ ქუთაისის სობორის მედავითნე რა მოსატანია...

1924 წელია. მიტროპოლიტი ნაზარი მღვდლებთან ერთად სოფელ სვირში ჩავიდა, მერე როდინეულის ეკლესია უნდა ეკურთხებინა, რომელიც თეატრად იყო გადაკეთებული და მრევლმა დაიბრუნა. შუადამისას, როცა ყველას ეძინა, შეცვივდნენ მილიციელები მასპინძელ ოჯახში, წამოყარეს მღვდლები, თოკით გადააბეს ერთმანეთს და გზას გაუყვეს, — მიტროპოლიტი ნაზარი და მისი თანმხლები მღვდლები ქუთაისის ციხეში გამოამწყვდიეს უნებართვო კრების მოწყობის ბრალდებით...

საქმე ის გახლდათ, რომ თურმე მანამდე მიტროპოლიტი ნაზარი ეჭვიმტანილი ყოფილა რუსებისთვის, გნებავთ, ზოგადად კომუნისტებისთვის, საეკლესიო განძის გადამალვაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. მოგვხსენებათ, მაშინ აურაცხელი სიმდიდრე გაიტანეს საქართველოდან.

და ექვთიმე თაყაიშვილის მოწოდებების მიუხედავად, პატრიარქმა ლეონიდემ უარი განაცხადა თბილისის სინოდისა და მცხეთის სვეტიცხოვლის საგანძურის ემიგრაციაში წაღებაზე. საგანძურის დასაველეთ საქართველოში დამარხვა მიტროპოლიტ ნაზარს დაევა. ნაზარმა განმეულობა ქუთაისში გახიზნა და ბაგრატიის ტაძრის ძირში მდებარე სამიტროპოლიტო რეზიდენციის ეზოში დამარხა. ბოლშევიკებმა განძს ერთ-ერთი სასულიერო პირის მითითებით მიაგნეს. ნაზარი დააპატიმრეს და 1924 წლის მარტში მიესაჯა პატიმრობა პირადი ქონების კონფისკაციით. 1924 წლის აპრილში, ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლებული ნაზარი სამწყსოს დაუბრუნდა, მაგრამ კვლავ დააპატიმრეს იმავე წლის 2 აგვისტოს. რამდენიმეკვირისანი დაკითხვისა და პატიმრობის შემდეგ, მიტროპოლიტ ნაზარს და მის თანმხლებ სასულიერო პირებს დახვრეტა მიუსაჯეს და მალევე ჩაცხრილეს კიდევ საფიჩხიაზე, ებრაელების სასაფლაოს ბოლოში.

ასე აღესრულნენ: მამა გერმანე, მამა იორეთეოზი, მამა სიმონი, მამა ბესარიონი და მიტროპოლიტი ნაზარი. ამ დროისთვის მამა ბესარიონი მძიმე ავადმყოფი ყოფილა, მაგრამ მაინც არ შეიწყალეს. დახვრეტილები პირდაპირ ჩაყარეს წინასწარ გამზადებულ თხრილში და მიწა წააყარეს. რამდენიმე ადამიანისგან მსმენია, კი, დახვრეტეს, მაგრამ ალბათ, ყველა არ იყო მკვდარი, ერთ-ორ დღეს მიწა ინძროდა, მაგრამ ვინ გაბედავდა ახლოს მისვლას და ამოთხარასო...

P.S. 1995 წელს საქართველოს საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტ ნაზარისა და მასთან ერთად დახვრეტილი სასულიერო პირების კანონიზება მოახდინა. ხსენების დღედ დაწესდა 27 აგვისტო.



„დაივიწყეთ უკრაინა, ვაშინგტონელი „ქორაზი“ NATO-ს ტაივანთან ომში ითრავებს!“



ამერიკის შეერთებული შტატების სახელისუფლო ისტებლიშმენტმა იმდენად გაიფუჭა სახელი, რომ თუ რომელიმე ამერიკელი სენატორი, კონგრესმენი ან, უბრალოდ, თანამდებობის პირი რაიმე ისეთს იტყვის, რაც მთლად სიმართლე თუ არა, სიმართლესთან მიახლოებული მაინც იქნება, ჯერ მიკვირს, შემდეგ რაღაც იმედი მიჩნდება, რომ ნორმალური ამერიკელებიც არსებობენ და ამ სახელმწიფოსთან მართლა შეიძლება ნორმალური ურთიერთობა.

ამ ბოლო დროს კონგრესმენმა რონ პოლიმ გამოაცხადა, მით უფრო, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. როგორც ჩანს, ეს კაცი აბსოლუტურად ადეკვატური და გულწრფელია რიგ საკითხებში და ამიტომაც ვერ გაიმარჯვა საპრეზიდენტო მარათონში. პრინციპში, მას ვინ გაამარჯვებინებდა, როცა დონალდ ტრამპიც კი დააცურეს და სხვა რომ ვერაფერი მოუძებნეს, ინდიელთა ბელად ვინეტუ ინჩურუნას ვაიხსდროინდელი ერთი დამის ქალების ამბებსდა უქექავენ და ამასაც ვერ აბამენ თავს ომისმოყვარე ბაიდენისტები — მოჩვენებებთან მოსაუბრე ამ

ნი პრეზიდენტი ხომ მეტ-ნაკლებად ნამდვილად აღუდგენდა აშშ-ს იმ წაშლილ სახეს, მსოფლიოში რომ აღარავის უნდა მისი დანახვა ერთი მუჭა ფულისმოყვარე მედროეების გარდა, რომლებიც უდანაშაულო ადამიანების სისხლში დააბოტებენ საკუთარი მატერიალური კეთილდღეობა რომ შეინარჩუნონ...

რონ პოლიმ ჯერ კიდევ მაშინ ამოიღო ხმა, როცა „Boeing-777“-ის კატასტროფა მოხდა.

„Boeing-777-ის კატასტროფის შემდეგ, დასავლელმა პოლიტიკოსებმა და მასმედიის საშუალებებმა უნისონში დაიწყეს ამ ტრაგედიიდან მაქსიმალური პროპაგანდისტული სარგებლის მიღება. ბარაკ ობამამ გამოძიების დასრულებამდე დასდო ბრალი მეამბოხეებს. მისი განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამანტა პაუერმაც გაიმეორა. ნუთუ, ასე რთულია, მოითხოვო მომხდარის ობიექტურად გამოძიება?!“ — მკაცრად იკითხა პოლიმ. კი, უსმენდნენ, ზოგი დიად ეთანხმებოდა კიდევ, მაგრამ მთლიანი სურათი არ შეცვლილა.

იგი მიიჩნევდა, რომ, მიუხედავად

ვის ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო 250 მშვიდობიანი მოსახლის მკვლელობაზე ლუგანსკში და რომ „ბონგ-777“-ის კატასტროფიდან მეორე დღეს ლუგანსკში 20 ადამიანი მოკლეს.

ეს ყველაფერი იმიტომ შეგახსენეთ, რომ სულ მცირე ხნის წინათ, მაისში, ამავე რონ პოლიმ განაცხადა: დაივიწყეთ უკრაინა, ვაშინგტონელი „ქორაზი“ NATO-ს ტაივანთან ომში ითრავებს.

„იმ დროს, როცა უკრაინაში NATO-ს კატასტროფული პროქსიმი გრძელდება, როგორც ჩანს, აშშ-ის დედაქალაქი ვაშინგტონში ბევრი ადამიანი „პროექტ უკრაინის“ მიმართ ინტერესს კარგავს. იმის ნაცვლად, რომ ინტერვენციონიზმის უგუნურება აღიარონ, მათ კიდევ უფრო დიდი მიზნები ამოძრავებთ — ომი ჩინეთთან!

სირია „არაბულ ლიგაში“ დაბრუნდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

„ვარშავის პაქტის“ გაუქმების შემდეგ, 90-იანი წლების მიწურულს NATO-მ გადაწყვიტა, რომ კლინტონის ადმინისტრაციის მმართველობისას „ადამიანის უფლებებს“ ძალიან მთვრალი მეთოდებით დაიცავდა. გაქრა „გლობალური კომუნიზმის საფრთხე“, რომელსაც NATO 40 წლის განმავლობაში თავისი ქმედებების გასამართლებლად იყენებდა.

NATO ხელახლა წარმოვიდგინა შეიარაღებული ატლანტიკის სუპერგმირების ჯგუფად. ყველაგან, სადაც „უსამართლობა (ვაშინგტონელი ნეოკონების აზრით) სუფევდა“, NATO მზად იყო, პრობლემები იარაღითა და ბომბებით მოეგვარებინა.

აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უფრო კმაყოფილი ვერ იქნებოდა!

Beltway-ს ყველა ანალიტიკურმა ცენტრმა, რომელსაც ისინი უხვად აფინანსებენ, საბოლოოდ ფულის ნაკადის შესანარჩუნებლად სამიოდო გამარჯვებული იპოვა. საქმე ყოველთვის ფულს ეხებოდა და არა უსაფრთხოებას.

NATO-ს, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი სუპერგმირის პირველი გამოცდა იუგოსლავია (1999 წ.) იყო!

ალიანსის, ვაშინგტონში მოკალათებული მისი ნეოკონსერვატორი მომთხინებლებებისა და მრავალი ევროპელი პოლიტიკოსის გარდა, ეს გამოცდა ყველასთვის სამინელი, გაუმართლებელი კატასტროფა იყო. იუგოსლავიას, რომელიც NATO-ს ინტერესებს არ ემუქრებოდა, 78 დღის განმავლობაში ბომბადნენ. ამ პერიოდში ასობით მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, განადგურდა ინფრასტრუქტურა, ხოლო ურანის ქობინიანმა ჭურვებმა მომავალ თაობებს ლანდშაფტი მოუწამლეს.

ლეგენდარულმა სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა განხსენა, როგორ გაიქცა შუაღამისას ბაბუის სახლიდან, რომელიც NATO-ს ჩამოგდებულმა ბომბმა მთლიანად გაანადგურა. რა სამინელებას!

NATO ლიბიაში კადაფის მთავრობის დამხობაშიც მონაწილეობდა.

კორპორაციული პრესა ნეოკონსერვატორების (ნეოკონები) ტყუილებს ამართლებდა, ვითომ ქვეყნის დაბომბვა, ადამიანების მკვლელობა და კადაფის მთავრობის დამხობა ლიბიაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას მოაგვარებდა.

NATO-ს ბომბებმა ლიბიის პრობლემები ვერ გადაჭრეს. პირიქით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესეს, რასაც ქაოსი, სამოქალაქო ომი, ტერორიზმი, მონებით ვაჭრობის ბაზარი, საყოველთაო სიღარიბე მოჰყვა... გასაკვირი არ არის, რომ ჰილარი კლინტონი, ბარაკ ობამა და ნეოკონსერვატორები ლიბიაზე საუბარს თავს არიდებენ.

რამდენიმე წარუმატებელი სერიის შემდეგ, ვაშინგტონის კონტროლირებული NATO ვა-ბანკზე წავიდა და 2014 წელს რუსეთში „რეჟიმის შეცვლა“ გადაწყვიტა.

პირველი ნაბიჯი იყო დემოკრატიულად არჩეული უკრაინის მთავრობის დამხობა, რაზეც ვიქტორია ნულანდმა და სხვა ნეოკონსერვატორებმა იზრუნეს. NATO სახელმწიფო გადატრიალების შემდეგობით უკრაინის ხელისუფლების სათავეში მოსულ მთავრობას მასშტაბურ სამხედრო დახმარებას უწევდა და რუსეთთან საბრძოლველად აშხადებდა.

ბოლო აკორდი იყო 2022 წელს რუსეთის თხოვნის უგულვებლყოფა, რაც ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მილაპარაკების დაწყებას ეხებოდა. ეს შეთანხმება NATO-ს ჯარებს რუსეთის საზღვართან მიახლოებაში ხელს შეუშლიდა.

მეინსტრუმული მედიისა და აშშ-ის მთავრობის პროპაგანდის მიუხედავად, NATO-მ უკრაინაში ისეთივე „წარმატებას“ მიაღწია, როგორსაც ლიბიაში — გაქრა ასობით მილიარდი აშშ დოლარი. სემიურ პერშმა და სხვა ჟურნალისტებმა მასობრივი კორუფციული ფაქტები დოკუმენტურად დაადასტურეს...

ამჯერად ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ NATO-ს სამიზნეს, რუსეთს, ბირთვული იარაღი აქვს და თანაც მოსკოვისთვის ეს პროქსიმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მის შემდგომ არსებობას უკავშირდება.

წარუმატებლობის მიუხედავად, NATO-მ ჩინეთთან კონფლიქტის დაწყება გადაწყვიტა, შესაძლოა,

ომით, რომ უკრაინაში განცდილი კატასტროფიდან ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანოს.

NATO-მ განაცხადა, რომ იაპონიაში თავის პირველ აზიურ ოფისს გახსნის. შემდეგი ნაბიჯი ტაივანის NATO-ში გაწევრიანება იქნება?

ტაივანი NATO-ს „ახალი უკრაინა“ ხომ არ გახდება და NATO-ს სახელით, რომელსაც კონფლიქტებისადმი უსაზღვრო მიდრეკილება აქვს, თავს ჩინეთს შესწირავს?

იმედი ვიქონიოთ, რომ 2024 წელს ამერიკა ისეთ პრეზიდენტს აირჩევს, რომელიც NATO-ს მოკავშირეულ მსოფლიო „ტურნეს“ საბოლოოდ დაასრულებს.“

როგორც ჩანს, აშშ-ში მშვიდობისმოყვარე კონგრესმენი ამერიკელებიც ყოფილან...

ამასობაში, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დმიტრი მედვედევ ვეროკომისიის პრეზიდენტურსულა ფონ დერ ლაიენის ნათქვამს გამოეხმაურა და დაეთანხმა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები თანაბარ პირობებში ნამდვილად ვერ შედგება.

ლიბიაში მდგომარეობა: „მელოია, არ დაეთანხმო გინეკოლოგს, რომელსაც თავი ევროსაბჭოს პრეზიდენტად მოაქვს. დეი-დამ თქვა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის თანაბარ პირობებში მოლაპარაკებები უარყოფილი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს ასეა. როგორ შეიძლება თანაბარი მოლაპარაკებები იყოს ნაცისტურ სახელმწიფოსთან? საუბარი მხოლოდ მის პატრონთან შეიძლება, უფრო ზუსტად, მხოლოდ ვაშინგტონთან! სხვა თანამოსაუბრე, უბრალოდ, არ არსებობს და ისიც მხოლოდ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის პირობებზე, თუმცა, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ამიტომ, ახლა მოლაპარაკებები საერთოდ არ არის საჭირო!“

ეს „ფონ“- „ფონ“ ქალები, ურსულა ფონ დერ ლაიენი და ვიოლა ფონ კრამონი, ერთი — გინეკოლოგი, მეორე — მეძროხე, რას გადაგვიკვირდნენ ყველას შუაგული ევროპიდან? რა კომპლექსი თუ ნოსტალგია სჭირთ? მიუხედავად იმისა, რომ თავადანაშურული აპელატები აყრილი აქვთ ახალდროებაში, გენეტიკა მაინც არ ასვენებთ და სხვებზე მბრძანებლობის სურვილი სტანჯავთ?



ბებერ მარაზმბატი კი ვინ რას ეკითხება, მის ადმინისტრაციაზე საუბარი. იმდენპერ დაენარცხა, მერიდებდა.

როგორი წარმოსადგენია ისეთი ამერიკის პრეზიდენტი, რომელიც აშშ-ის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ომს არ ეთანხმება. აშშ ხომ იმით არის განთქმული, რომ მშვიდობისმოყვარის მანტია აქვს პრეზიდენტობის და ხან ტერორიზმს ებრძვის დედამიწის მეორე ნახევარსფეროში, ხან დემოკრატიას ამყარებს იქვე. რატომღაც ისე აქვს აღქმული, რომ ამერიკის ორივე კონტინენტის გარდა, ყველაგან მისი თავისისაღი და საფიქრალია ხალხთა ბედნიერება.

„ჩვენ ერთად შევიჭვრით და ტრილიონი დოლარი დავხარჯეთ. დაიღუპა 5000 ამერიკელი და მათთან ერთად ჩვენ ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი მოკალით. საერთო ჯამში, ეს ძალიან ცუდი პროცესი იყო“, — თქვა რონ პოლიმ. მაგრამ რა, მან მხოლოდ აღიარა, აშშ-მ კი განაგრძო „დემოკრატიის დამყარება“ და „ტერორიზმთან ბრძოლა“.

ამ კაცს ფორტუნამ უგანა, ქარიზმა არ აქვს, ფინანსები, თუ აშშ-ში სიმართლის მთქმელი არ უყვართ? ასეთი მიდგომებისა და სიმართლის მთქმელი სამართლიან-

„მთავრობის პროპაგანდისა“, დასავლური მედია, სამწუხაროდ, ბევრ რამეზე დუმილს ამჯობინებს ხოლმე და ეს დუმილი აუტანელია. მისი თქმით, ამაზე მიუთითებდა უპირველესად ის, რომ ჟურნალისტები არ ახსენებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას უკრაინაში იმ დროს, როდესაც ევროკავშირისა და აშშ-ის დემონსტრანტებმა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს.

„რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებული ეს გადატრიალება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომდევნო არეულობების შედეგად ასეულობით ადამიანი დაიღუპებოდა“, — ხაზგასმით აღნიშნა მაშინ რონ პოლიმ.

ამერიკელმა კონგრესმენმა ხელი დაადო აშშ-სა და ევროკავშირს უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში, მაგრამ ან უკრაინის კანონიერი ხელისუფლების გამოქმნაგებელი ვინ იყო, ან გადატრიალების მოწყობი აშშ-ისა და ევროკავშირის დამგობი, როცა კოლექტიურმა დასავლეთმა ასე გადაწყვიტა ნოვოგორი უკრაინის შესრუტვა.

პოლისავე სიტყვებით, მედია დუმდა ყველაფერზე, მათ შორის იმაზეც, რომ ეუთო-ს ცნობით, კიე-

პოლიტიკური ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის ყოველდღიურად მწვევდება. დაპირისპირება, ფაქტობრივად, პრეზიდენტის საკარძლოსთვის მიმდინარეობს, მაგრამ მხარეები დასაშვებთან ერთად მიუღებელ წესებსაც მიმართავენ, რაც ქვეყნის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. აშშ-ში არ ახსოვთ, რომ მოქმედ პრეზიდენტს რეალურად ელოდება იმპიჩმენტი, ხოლო მის უშუალო კონკურენტსა და წინამორბედს — პატიმრობა. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები არანაზულად დაძაბული და არაპროგნოზირებადი იქნება.

გაურკვეველია დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია აშშ-ში. მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მტკიცედ გადაწყვიტა, მეორე ვადითაც იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში, მან აქტიური წინასარჩევნო კამპანია დაიწყო, მაგრამ გასულ კვირას იძულებული გახდა, ორკვირიანი პაუზა აიღოს და დროებით შეაჩეროს საარჩევნო კამპანია. მიზეზი მისი შვილი ჰანტერი ბაიდენია, რომელსაც კონგრესში საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეს. ჰანტერი ყველანაირად ცდილობს, სასჯელს თავი აარილოს. ამისთვის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა, იმედი ჰქონდა,

თანამშრომლობის შეთანხმება. მოსამართლე არ დაეთანხმა პროკურატურის გადაწყვეტილებას, რომ უმცროს ბაიდენს, ფაქტობრივად, დანაშაული აპატიონ.

სხვადასხვა გამოცემები იუწყებიან, რომ ბაიდენების იურისტებმა უხეშად დაიწყეს სასამართლო პროცესში ჩარევა. გავრცელებული ინფორმაციით, მოსამართლეს დაემუქრნენ, თუ ჰანტერის სასარგებლოდ არ გამოიტანდა განაჩენს. თურმე, ყოფილა შანტაჟის მცდელობაც. იურისტები უხეშად ფორმით ითხოვდნენ განსახილველი სისხლის სამართლის საქმიდან არასასურველი საბუთების

რომლობის საბჭო“ შეიქმნა, რომელსაც ევროპელმა ჟურნალისტებმა ირონიულად „კანფეტი პრეზიდენტ ზელენსკისთვის“ შეარქვეს. გასულ კვირას გამართულ ამ საბჭოს სხდომაზე უკრაინელებმა რუსეთის მიერ დაბლოკილი მათი საზღვაო პორტების ძალისმიერი მეთოდებით განხილვა მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ცნობილი გახდა, რომ აშშ უკრაინას „აბრამსის“ ტიპის ტანკებს გადასცემს, ოღონდ არა ახლებს, არამედ — მეორადს.

უკრაინელებისთვის არასასიამოვნო ინფორმაცია გამოაქვეყნა გამოცემა „თაიმსმა“. როგორც



მაგას იზაირბენში, შვილს - პატიმრობა

ამოღებას. პრესის ინფორმაციით, სწორედ ამ გარემოებებმა გააღიზიანა მოსამართლე და, შესაძლოა, აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი სკანდალიც აგორდეს.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ჯო ბაიდენი შეიწყალებს შვილს, თუ სასამართლო პატიმრობას მიუსჯის, რისი დიდი ალბათობაც არსებობს. აშშ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, როცა მოქმედი პრეზიდენტის შვილს გაასამართლებენ და რეალურ სასჯელს მიუსჯიან სხვადასხვა დანაშაულებისთვის. კონ-

ჟურნალისტები იუწყებიან, ბრიტანელებმა 43 „ჩელენჯერ-2“ ტანკების უტილიზირება მოახდინეს. რა გამოდის, მოკავშირე ქვეყნები უკრაინას ძველ ტანკებსაც ადარ აწვდიან? ამასობაში კი კონტრშეტევის გაგრძელებისკენ მოუწოდებენ, სადაც ორ თვეში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კოლოსალურ დანაკარგებს განიცდიან.

არც ევროკავშირშია ერთიანობა. გასულ კვირას უნგრეთმა ორგანიზაციის მიერ უკრაინისთვის რამდენიმე მილიარდიანი დახმარების გამოყოფა დაბლოკა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის განცხადებით, ევროკავშირის ძვირი უჯდება უკრაინის შენახვა და გაერთიანებას დამოუკიდებელი პოლიტიკის არქონის გამო აკრიტიკებს. „...ევროკავშირი იმ მოკრივეს დაემსგავსა, რომელსაც ჩემპიონობა სურს, მაგრამ საბრძოლველად რინგზე არ გადის“, — განაცხადა ორბანმა. იგი არ გამოიცხადებს მსოფლიო სავალუტო ფონდთან კავშირის გაწყვეტას. აღსანიშნავია, რომ ვიქტორ ორბანს აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის დიდი მხარდაჭერა აქვს, რაც ქვეყნის მეთაურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მსოფლიოს ახალი გადანაწილება აქტიურად დაიწყო. ამის დასტურია გასულ კვირას გამართული რუსეთ-აფრიკის ქვეყნების სამიტი, რომელიც მეორედ გაიმართა. შეხვედრას საფუძველი 2019 წელს ჩაყვარა ეკვიპტის ხელისუფლების თათხობით, რასაც კონტინენტის ყველა ქვეყანა შეუერთდა. წლებგანდელი სამიტი მსოფლიოში არსებულ რთულ პოლიტიკურ ფონზე გაიმართა. აფრიკის კონტინენტზე გავლენის გაძლიერებას ყველა დიდი ქვეყანა ცდილობს და ინვესტიციების განსახორციელებლად თანხებს არ იშურებენ. ჩინეთს თითქმის 250 მლრდ დოლარი აქვს დაბანდება ინვესტიციების სახით კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ სიღარიბე დღემდე არ არის დამარცხებული.

საკუთარი ინტერესები აქვთ, ასევე, აშშ-სა და საფრანგეთს... ამიტომაც მოუწოდებდნენ აფრიკის ქვეყნებს, არ ჩასულიყვნენ რუსეთში აღნიშნულ სამიტიში მონაწილეობის მისაღებად და სხვადასხვა სახის სანქციებით ემუქრებოდნენ. მუქარის მიუხედავად, რუსეთის

ჩრდილოეთ დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში აფრიკის კონტინენტის 54 ქვეყნიდან 49 სახელმწიფოს წარმომადგენელი ჩავიდა, მათგან 17 პირველი პირი იყო. სამიტზე მრავალფეროვანი და მრავალმხრივი შეხვედრები გაიმართა. სამი დღის განმავლობაში დიდიდან გვიან საღამომდე მიმდინარეობდა სხვადასხვა დონის მოლაპარაკებები. მთავარი თემები სამიტზე უკრაინასთან მიმდინარე ომი და აფრიკის კონტინენტზე ხორბლის მიწოდების საკითხები იყო.

მთავარი მოქმედი პირი მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყო. ცნობილი ფაქტია, აფრიკის კონტინენტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, საიდანაც წამყვან ქვეყნებს მხოლოდ ნედლეული გაჰქონდათ. ამაზე გულისწეროვით საუბრობდნენ აფრიკელი სტუმრები. „...ჩვენ გვინდა, ვაწარმოოთ და მსოფლიო ბაზარზე გავიტანოთ ფოლადი, შოკოლადი და არა მხოლოდ ნედლეული“, — აცხადებდნენ თითქმის ერთხმად აფრიკელი სტუმრები. განსაკუთრებული ინტერესით მონაწილეები სწორედ პუტინის გამოსვლას ელოდებოდნენ. რუსეთის პრეზიდენტმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და ქვეყნებს სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა შესთავაზა. მისი განცხადებით, უკრაინიდან გატანილი ხორბალი, ძირითადად, მდიდარმა ქვეყნებმა შეიძინეს, აფრიკის ღარიბმა ქვეყნებმა მხოლოდ 5%-მდე მიიღეს. პუტინი შეჰპირდა სამიტის მონაწილეებს, რომ უახლოეს თვეებში აფრიკის გაჭირვებულ 6 ქვეყანას უანგაროდ, უფასოდ თითოეულს 25-50 ათას ტონა ხორბალს მიაწვდის. ამით ოვაციები დაიმსახურა. პუტინმა სამიტის მონაწილეებს შესთავაზა, ასევე, თანამშრომლობა ენერგეტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, დახმარება აღუთქვა სასუქების მიწოდებაში. მოკლედ, რუსეთი ცდილობს, „რბილი ძალით“ დაიბრუნოს კონტინენტზე ის გავლენა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჰქონდა.

სამიტის შემაჯამებელ ბრიფინგზე პუტინმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ აფრიკის ქვეყნების მეთაურებმა რუსეთში, ასევე, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების 10-პუნქტიანი გეგმა ჩაიტანეს, რისთვისაც პუტინმა

სტუმრები მადლიერებით მოიხსენია, მაგრამ გარკვეული პუნქტების შესრულება ეჭვქვეშ დააყენა. „...მოგვიწოდებენ ცეცხლის შეწყვეტისკენ, ეს როგორ შევასრულოთ, როდესაც უკრაინელები აქვთ გვიტყვენ... სამშვიდობო დიალოგზე ჩვენ უარს არასოდეს ვამბობთ, მაგრამ შეთანხმება განუხრელად უნდა შესრულდეს“, — უთხრა ჟურნალისტებს პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა სამიტის დასრულების შემდეგ რამდენიმე ქვეყნის ლიდერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღლუმზე მიიწვია. სამიტის შედეგებით იგი ამკარად კმაყოფილი ჩანდა.

ჩრდილოეთ კორეაში საგულისხმო ოფიციალური ვიზიტი განხორციელდა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ. მასპინძლებმა მას პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. იგი კორეულ კოლეგასა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა. მთავარი მოვლენა ვიზიტის მეორე დღეს მოხდა — შოიგუ ქვეყნის მმართველმა კიმ ჩინ ინმა მიიღო. შეხვედრაზე საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს. საუბრის დეტალები უცნობია. შოიგუმ მასპინძელს პუტინის წერილი და საჩუქარი გადასცა. კიმ ჩინ ინმა სტუმარს ახალი შეიარაღება, მათ შორის, უპილოტო საფრენი აპარატები და ბირთვული იარაღი დათვალა. მწელი გამოსაცნობი არ არის, რუსეთ-უკრაინის ომიდან და რეგიონში დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, რას ემსახურებოდა შოიგუს ვიზიტი. თუმცა, ოფიციალური ვერსიით, ნახევარკუნძულზე კორეის ომის დასრულების 70 წლის საიუბილეო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.

აფრიკის კონტინენტზე ნიგერში გასულ კვირას სამხედრო გადატრიალება მოხდა. არეულობა დღემდე გრძელდება. ევროპელი ჟურნალისტების ინფორმაციით, დემონსტრაციაზე გასული მოსახლეობა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას მოითხოვდა. აფრიკის კონტინენტისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადადის.

ჯერჯერობით მსოფლიოში სიმშვიდის არავითარი ნიშან-წყალი არ ჩანს, ვნახოთ, რა იქნება მომავალში...

ბი აპრულები
551 71 27 07



რომ პირობით სასჯელს მიიღებდა. ინფორმაციამ ჰანტერ ბაიდენის გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ და მსუბუქი დანაშაულის აღიარებამ, აშშ-ში უკმაყოფილება გამოიწვია. გადასახადებისთვის თავის არიდება ქვეყანაში მძიმე დანაშაულთა ნუსხაშია. ჰანტერს უფლება არ ჰქონდა, შეეძინა ცეცხლსასროლი იარაღი, როგორც ნარკოტიკების აქტიურ მომხმარებელს... მოკლედ, ბრალდებების ჩამონათვალი ბევრია. კონგრესმენი რესპუბლიკელები ბაიდენების მთელ ოჯახს კორუფციაში ადანაშაულებენ.

გასულ კვირას დელოვერის შტატში ჰანტერ ბაიდენის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. ბაიდენების ადვოკატებს იმედი ჰქონდათ, რომ სასამართლო პროცესი მათი კლიენტის სასარგებლოდ მალევე დასრულდებოდა. მოსამართლემ საქმის განხილვა და ვერდიქტის გამოტანა ერთი თვით გადადო. უფრო მეტიც — გააუქმა ჰანტერ ბაიდენის გამოძიებასთან

გრესში აცხადებენ, რომ მზად არიან, კორუფციას ბრალდებით ჯო ბაიდენის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო. ამიტომაც განაცხადა პრეზიდენტმა: „...რესპუბლიკელები ეცდებიან, კიდევ რაღაცები გამოიმჩნიონ და იმპიჩმენტის საკითხი დააყენონ“. ესეც ისტორიული მომენტი, როდესაც შვილი პრეზიდენტი მამის იმპიჩმენტის მიზეზი ხდება. თეთრი სახლის პრეს-სამსახურში მტკიცებით ფორმაში აცხადებენ: თუ ჰანტერ ბაიდენს გაასამართლებენ, მამა მას არ შეიწყალებს, იგი კერძო პირია და მის საქციელზე პასუხს არ აგებსო. თუმცა, მომავლის განჭვრეტა ძნელია, მით უფრო, როდესაც ლიბერალურმა პრესამ სკანდალის მიჩქმალვის მცდელობა დაიწყო.

უცნაურია, რომ ასეთ რთულ პოლიტიკურ ფონზე კონგრესში პირველად გაიმართა უცხოპლანეტელებისა და მფრინავი თევზების არსებობაზე მოსმენა... ვილინუსში ნატო-ს სამიტის შემდეგ „ნატო-უკრაინის თანამშ-

ირაკლი ვაშაყმაძე



თვალსაზრისი შავი

დეკემბრის რტოზე თვლემს... შავი შავი... თვალსაზრისი მაისს იგონებს... საით გაფრინდა ის სიხარული, ბავშვობაში რომ გამოვიგონეთ! ჟამის ბორბალი აღმოდებული, ინაცრება.. და.. აღარ იგონებს... რა ეშველება იმ წრფელ სიყვარულს, ცაში ერთად რომ გამოვიგონეთ... დეკემბრის ტოტზე ზის შავი შავი, თვალსაზრისი მაისს იგონებს...

კაი ყვის ბელისნარული

განგებამ, ბედისწერამა, წამების ჩოხა ჩამაცვა, ჯოჯოხეთს ჩამაქვესკენლა, დამხანარა... მერე... დამხანარა... დაბადებიდან მაცილი, მიღწეალებდა კბილებსა, ბედითა წუთისოფელმა ჩამაგლო ტანჯვის დილეგსა... იგი, დედაი, მადლშია, ვინც მამულს უზრდის გმირებსა... და... იგი გმირიც მადლშია, ვისაც და დაიტირებსა... დღითი განარიდე, კაი ყმა, ტანჯვა-წამების დილეგსა!

საქართველოს

უფლის მადლით შენ მაცხოვარს ჰგავხარ, ჩვენ ცოდვებში ვეყვალვით ველამდე, ამშვენებდი, კვლავ ამშვენებ სამყაროს, ვერა და ვერ ამოფრინდით შენამდე... უფალთან ხარ... კვლავ ავსულებს ებრძვი... როგორ უძლებ მოსეულ მტერს შენ ამდენს... ტანჯული ხარ, უკვდავი ხარ, მამულო, ვერა და ვერ ამოფრინდით შენამდე!


სელოვნური ინტელექტს შეუძლია, კაცობრიობა დაღუპოს!

„სწრაფად განვითარებადი ხელოვნური ინტელექტი იმდენად ზეგონიერი და მძლავრი შეიძლება გახდეს, რომ, შეძლებს მასობრივი სოციალური რყევების გამოწვევას და კაცობრიობის განადგურებასაც კი“, — წერს გამოცემა „Week“-ი.

„350-ზე მეტი მკვლევარი და ინჟინერი, — ნათქვამია პუბლიკაციაში, — სულ ახლახან გამოვიდნენ გაფრთხილებით იმის შესახებ, რომ ხელოვნური ინტელექტი არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანებისთვის, ვიდრე პანდემია და ბირთვული ომი“. ექსპერტების გამოკითხვაში, რომელიც 2022 წელს ჩატარდა, იმის საშუალო ალბათობამ, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიწვევს ადამიანების სრულ გადაშენებას თუ არა, მისი რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას მაინც 1:10 შეადგინა.

ჯეფრი ჰიტონი, რომელსაც ხშირად ხელოვნური ინტელექტის „ნათლიმამასაც“ უწოდებენ, ასეთ ვარაუდებს სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ადრე ჰიტონს მიაჩნდა, რომ ხელოვნური ინტელექტისგან მომავალი საფრთხე მხოლოდ 30 წლის შემდეგ შეიძლება და გაჩენილიყო. თუმცა, ახლა ხელოვნური ინტელექტი ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ უკვე ხუთი წლის შემდეგ ადამიანზე გონიერი გახდება. ChatGBT-ს ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე და Cat-bot Bing-ს უკვე შეუძლიათ გამოცდების ჩაბარება საადვოკატო და სამედიცინო ლიცენზიების მისაღებად, IQ-ს ტესტებში კი 99%-ის აღება, ესე იგი ადამიანის გენიალობის დონეზე გასვლა.

ჰიტონი და სხვა სპეციალისტები უფრთხიან იმ მომენტს, როცა ხელოვნური ინტელექტი თავისი შესაძლებლობებით ადამიანებს ყველაფერში აჯობებს. ხელოვნური ინტელექტის ზოგიერთი ექსპერტი ამ შესაძლებლობას ჩვენს პლანეტაზე უმადლესი გონის უცხოპლანეტელების ჩამოსვლას ადარებს.



კიდევ ერთი პიონერმა ხელოვნური ინტელექტის სფეროში, მეცნიერმა და კომპიუტერის სპეციალისტმა სტიუარტ რასელმა განაცხადა: „თქვენ წარმოადგენთ არა გაქვთ, რას გააკეთებენ ისინი, აქამდე რომ მოაღწევენ, იმის გარდა, რომ ისინი ხელში მსოფლიოს ჩაგდებას აპირებენ“.

ერთ-ერთი აპოკალიფსური სცენარი იმას იმდენად მდგომარეობს, რომ ბოროტმოქმედებმა არ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი ახალი ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად, უფრო მომაკვდინებელისა, ვიდრე ბუნებრივი პანდემიებია. სხვა საფრთხე კი ის გახლავთ, რომ მსოფლიო სისტემებში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებასთან ერთად,

ტერორისტებსა და სხვა ბოროტმოქმედებს შეეძლებათ მათი გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურისა და ფინანსური ბაზრების გასათიშად.

„გარდა ამისა, — წერია სტატიაში, — ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება მონიდროს აბსოლუტური დამოუკიდებლობა და ადამიანის კონტროლიდან გასვლა. ამიტომ ხელოვნური ინტელექტს შეუძლია მოატყუოს ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოს მეთაურები, რომ მტერმა მათ წინააღმდეგ რაკეტები გაუშვა და აიძულოს ისინი, გამოიყენონ თავიანთი რაკეტები“.

ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, ხელოვნური ინტელექტის უკონტროლო, გამალებული განვითარება, ნეიროქსელებისა და ჩატბოტების შექმნა, კაცობრიობისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

აელა გველმსიანი 568 90 81 22



ჩვენს მეგობარსა და ჩვენი გაზეთის ერთგულ ავტორს, პოეტ ირაკლი ვაშაყმაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, უშრეტ ენერჯიას და შემოქმედებით წარმატებებს. „საერთო გაზეთი“

იყიდება ბინა საბურთალოზე, მინდელის 12, 68.3კვ. მწვანე კარკასი, დასრულებულ და შესახლებულ „დონა პალასის“ კორპუსში. ტელ: 514-38-77-38

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი შპს საგაომთავროლო სენსორი „საერთო სიჭყვა“ მთავარი რედაქტორი: გვანცა სარცილაშვილი 599 03 43 06 ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14 სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, ვია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველმსიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაფრთხილების მენეჯერი) 599 58 72 50.

მის.: თბილისი, ა. წარათლის გამზ.103; ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია) E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158 გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს „ელვა-ჯი“-ს მფლობელით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983 ISBN 977-22333-9800-1 2 008311 231562